MES 0 21 0000479471

24/05/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.04.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:32სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **ანა ფირცხალაშვილი -** შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
6. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
9. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

10. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
11. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
12. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
13. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
14. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
15. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
16. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
17. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
18. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
19. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
8	ნინო გულიაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დავით ჩერქეზიშვილი	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	რექტორი	I
2	რუსუდან ჩიქოვანი		ვიცე-რექტორი	I
3	თეა იმედაძე		ვიცე-რექტორი	I
4	დავით ბოსტოღანაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
5	ეკა ლუაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	I
6	ზვიად როგავა		ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი	I
7	გიზო ჭელიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
8	ნათია ღაჭავა	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი	II
9	ციცინო თურქაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია“ ხელმძღვანელი	II
10	ირაკლი კორძაია	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი	III
11	მარინა ქორიძე		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	III
12	თეა ქოიავა		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, ასისტენტ პროფესორი	III
13	ნინო ლომთათიძე			III

			ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	
14	ნანი გვარიშვილი		ასოცირებული პროფესორი, ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
15	თეონა ხუფენია	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	**IV**
16	ნინო მაქაცარია		პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
17	ანა ფირცხალაშვილი		პროგრამის თანახელმძღვანელი	**IV**
18	ბელა მოსია		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი	**IV**
19	ქეთევან ლატარია		საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	**IV**
20	გიორგი მირიანაშვილი	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი	**V**
21	თეა სამჭკუაშვილი		საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	**V**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	დავით გეგეჭკორი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ვაჟა ტრაპაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
5	გიორგი ბრეგვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
6	სოფიკო შარაბიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
7	ნინო ფარსადანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
8	ნინო დოლიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოს დაცვის ინჟინერიის და გამოყენებითი ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოს დაცვის ინჟინერიის და გამოყენებითი ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ავტორიზებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტაცია: გადაწყვეტილება №231, 04.12.2014 ავტორიზაცია: 2015 წლის 03 ივნისის საბჭოს N13
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	საერთაშორისო ურთიერთობები - 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	შატილის ქ. №4; ქ. თბილისი, 0178, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - გიორგი ღაღანიძემ და ეკატერინე ნაცვლიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით გეგეჭკორი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ შედგა ვიზიტი, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო პროგრამა. ვიზიტმა ჩაირა კარგად, თავიდან იყო სკეპტიციზმი აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, მაგრამ წარმოდგენილი პროგრამა გადის შედეგებზე და სტრუქტურულად კარგად არის აგებული, ექსპერტთა პრაქტიკის მანძილზე ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ექსპერტებს არ ჰქონდათ შენიშვნა პროგრამის სტრუქტურასა და საგნების გადანაცვლებასთან დაკავშირებით, იმდენად კარგად არის ეს ყველაფერი

შექმნილი/დალაგებული და შესაბამისად ხუთივე სტანდარტი „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. გაიცა მხოლოდ 3 რეკომენდაცია, რომელთაგან მეორე რეკომენდაცია იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაშვებული ტექნიკური ხარვეზი, რისთვისაც ბოდიში მოიხადეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით სგანმანათლებლობლო პროგრამას ძირითად კომპონენტად დაემატოს სასწავლო პრაქტიკა;
2. შემუშავდეს კვლევით პროქტში ჩართვის ფიქსირებული (მაგალითად, მიენიჭოს დამატებითი კრედიტი ან იყოს რომელიმე უკვე არსებული საგნის ერთ-ერთი სავალდებულო მოთხოვნა და ა.შ.) მექანიზმი ან კვლევითი პროექტის კურსი გახდეს სავალდებულო;
3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის, ტრენინგებისა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას; უნივერსიტეტში მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას; მეტ უცხოურ უსდ-სთან კავშირსა და თანამშრომბლობას; სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ პროგრამა ძალიან კარგად არის შედგენილი და გადის იმ მიზნებზე, რაც ყველაზე მთავარია; აღმოსავლეთ ვროპის უნივერსიტეტი ცდილობს პროგრამა განახორციელოს თავისი აკადემიური პერსონალით და პროგრამა ამითაც არის მომხიბლავი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

რექტორი, დავით ჩერქეზიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, უნივერსიტეტის სახელით მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რეკომენდაციებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ორივე მათგანი გასაგებია უნივერსიტეტისათვის, პირველ რეკომენდაციაზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, ზვიად როგავას.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ზვიად როგავა მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, აკრედიტაციის სახელმძღვანელოს შესაბამისად მათ პრაქტიკული კომპონენტი ჩააშენეს მთელ კურსებში, ანუ გაყვნენ მეორე მოდულს, წინა პროგრამაში საერთოდ არ არსებობდა პრაქტიკული კომპონენტი, ამიტომ ახლა დაინერგა და პროგრამის განმახორციელებლებს სურთ დააკვირდნენ, თუ როგორ იმუშავებს აღნიშნული კომპონენტი, მათ არ სურთ აქტიურ პრაქტიკაზე გადასვლა, მათ აინტერესებთ თუ რას აჩვენებს გამოკითხვები, შესაძლებელია სხვა კურსებშიც ჩააშენონ პრაქტიკის კომპონენტი და ეს უკეთესი ვარიანტი იყოს, რადგან ცოდნის მიღება და ტრანსფერი ერთდროულად ხდება ამ შემთხვევაში.

დაწესებულების რექტორმა შეახსენა დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, რომ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტიის თქმით, დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ 2.1 კომპონენტთან მიმართებით პროგრამის დაშვების წინაპირობებში იყო რჩევა (სასურველია მიღების ერთ-ერთი წინაპირობა იყოს აპლიკანტის მიერ კვლევითი გამოცდილების ფლობა (კონფერენციებში მონაწილეობა, პუბლიკაცია)), მაგრამ შესაძლებელია ისიც ტექნიკური ხარვეზი იყოს, რადგან საუბარია საბაკალავრო პროგრამაზე და თავისთავად პროგრამაზე დაშვების წინაპირობას არეგულირებს მოქმედი კანონმდებლობა, დანარჩენი რჩევები კი აბსოლუტურად მისაღები/გასათვალისწინებელია დაწესებულებისათვის.

მეორე რეკომენდაციაზე სასაუბროდ რექტორმა სიტყვა გადასცა ვიცე-რექტორს საერთაშორისო დარგში, თეა იმედაძეს.
ვიცე-რექტორი, თეა იმედაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს თანამშრომლობითი ვიზიტის, რეკომენდაციებისა და რჩევებისათვის, მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებთ მან განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებს მის სულისკვეთებას, ასევე სრულად იზიარებს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებას, რადგან დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება და საკმაოდ ძლიერი მხარეა, მუდმივად ცდილობს საპარტნიორო ქსელის გაფართოებაზე და იმ შეთავაზებების გაზრდაზე, რომლებსაც სთავაზობს სტუდენტებს/პერსონალს, ამასთანავე მუდმივად ზრუნავენ იმ მექანიზმების განვითარებაზე, რომ მუდმივად უზრუნველყონ სტუდენტების/პერსონალის ჩართულობის გაზრდა აღნიშნულ პროექტებსა და საერთაშორისო აქტივობებში. დაწესებულების პარტნიორების ფართო ქსელიდან უშუალოდ „საერთაშორისო ურთიერთობის“ მხრივ არსებობს 5 პარტნიორი უნივერსიტეტი, რომელთაც აქვთ „საერთაშორისო ურთიერთობების“ პროგრამა ან მიმართულება, სადაც განსახილველი უნივერსიტეტის სტუდენტებს/პერსონალს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ გაცვლითი სემესტრებით/პროგრამებით, საზაფხულო კურსებითა და ა.შ. აღნიშნული პარტნიორი უნივერსიტეტებია: ლოძის უნივერსიტეტი, ვარშავის ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, სილეზიას უნივერსიტეტი, ტურიბას უნივერსიტეტი, შვეიცარიის UMEF უნივერსიტეტი, აღნიშნული 5 უნივერსიტეტი უშუალოდ ემსახურება აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს/პერსონალს.
მექანიზმებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მხარდაჭერას უცხადებს და სთავაზობს სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებს, კონფერენციებს, ვორქშოფებსა და ყველა ტიპის მხარდაჭერას, როგორც პერსონალს, ასევე სტუდენტებსაც. აღნიშნული რეკომენდაცია ექსპერტთა ჯგუფს 3.1 კომპონენტთან დაკავშირებით რჩევის სახითაც აქვს მითითებული და დაწესებულება აპირებს განიხილოს, როგორც რჩევა, რადგან დაწესებულებას ეს ისედაც დეკლარილებული აქვს, რასაც ექსპერტები ამავე რეკომენდაციის დასაწყისში ახსენებენ, რომ „საერთაშორისო ურთიერთობების“ გაძლიერება/ინტერნაციონალიზაცია, როგორც უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტი ასახულია მის სამოქმედო გეგმაში, შესაბამისად განიხილავენ, როგორც რჩევას, რომელიც ჩამოყალიბებულია 3.1 კომპონენტთან მიმართებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ რადგან კვლევითი კომპონენტი მოიხსნა, მას არ აქვს შეკითხვა ექსპერტებთან. დაწესებულებასთან ჰქონდა 2 შეკითხვა:
1. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით სურდა დაეზუსტებინა, უსარგებლიათ თუ არა განსახილველი პროგრამის სტუდენტებს გაცვლითი პროგრამებით;
2. საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ კარგად შეისწავლა პროგრამა და ის ლოგიკურად არის აგებული, მაგრამ უცხო ენის კომპონენტთან დაკავშირებით დაინტერესდა, საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარზე არსებულ „საერთაშორისო ურთიერთობების“ პროგრამებში ძალიან მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი უცხო ენის კომპონენტი როგორც ევროპული, ისე აღმოსავლური ენების მიმართულებით, დაწესებულებას კარგად აქვს კურიკულუმში წარმოდგენილი ინგლისური ენა - 6 ნაწილით, მათ შორის ბოლო 2 დარგობრივი, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტი საფუძვლიანად შეისწავლის ინგლისურს და გახდება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ამ კუთხით, მაგრამ სხვა უცხო ენები საერთოდ არ არის შეთავაზებული პროგრამაში არც არჩევით, და არც სავალდებულო ბლოკში, იმ დროს, როდესაც უცხო ენას განსაკუთრებული სტატუსი აქვს საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამებში და ასრულებს არა მარტო საკომუნიკაციო ფუნქციას. და ის გარემოება, რომ დაწესებულება გარე კურიკულუმის ფარგლებში სთავაზობს სტუდენტებს 3 უცხო ენას, არ შედის კურიკულუმის 240 კრედიტში და სრულფასოვნად ვერ ინება პროგრამის ნაწილად განხილული. საბჭოს წევრმა გააგრძელა მსჯელობა, ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან და დაინტერესდა, როგორ არის აღნიშნული საკითხი ასახული 2020 წლის შრომის ბაზრის

კვლევაში და რა გამოიკვეთა გამოკითხვების დროს, და თუ იგეგმება სამომავლოდ ცვლილებები.

15:24 საათზე საბჭოს შემოუერთდა გაიოზ ფარცხალაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, თეონა მატარაძეს.

საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე მიესალმა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს, მან კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, რომ საბჭომ დამატებით დოკუმენტაციაში ვერ ნახა საბაკალავრო ნაშრომები და დაინტერესდა თუ მოხდა მათი გამოთხოვა/გადახედვა. მან აღნიშნა, რომ კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით პროგრამაში წარდგენილია ერთი კურსი „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები“ საბაზისო სახით, საბჭოს წევრი გაეცნო აღნიშნულ სილაბუსს და რჩევის სახით განაცხადა, რომ შესაძლებელია დაწესებულებას სხვა სილაბუსებში გათვალისწინებული აქვს, მაგრამ „საერთაშორისო ურთიერთობებისთვის“ რელევანტური კვლევის მეთოდები ნაკლებად არის ასახული სილაბუსში, რაოდენობრივი კვლევა შესაძლებელია ასწავლონ საბაზისოდ, მაგრამ „საერთაშორისო ურთიერთობებში“ უფრო მეტად Case study და შემთხვევის ანალიზი სჭირდება სტუდენტს, ვიდრე მასობრივი გამოკითხვა, რადგან სხვა კვლევის სილაბუსი არ არის, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ ფარავენ, როდესაც საბაკალავრო ნაშრომი უნდა გააკეთოს სტუდენტმა და იქ არ არის, მაგ., დოკუმენტების ანალიზის კომპონენტი და ალბათ ტექნიკური ხარვეზია, თუმცა კვლევის მეთოდების სილაბუსში თვისებრივ მეთოდებზე მასალა მითითებულია ნაჩმიესიდან, თუმცა შინაარსი ემთხვევა ზურაბიშვილის სახელმძღვანელოს, რადგან „მონოგრაფიული კვლევა“ არ არის სწორი ტერმინი და ნაჩმიესთანაც არ არის, ამიტომ სასურველია გასწორდეს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, დავით გეგეჭკორს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარადგინა საბაკალავრო ნაშრომი, ექსპერტთა ჯგუფმა ნახა და განიხილა იგი. კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით კი ჩათვალეს, რომ საბაკალავრო ნაშრომის მიხედვით წარმოდგენილია, გარდა ზემოაღნიშნული სილაბუსისა იყო კიდევ რამდენიმე სილაბუსი, სადაც აქვთ ჩაშლილი, მაგრამ რადგან საბაკალავრო პროგრამა იყო დეტალურად ჩაშლილი კვლევის მეთოდები არ უნახავს, ექსპერტთა ჯგუფმა ნახა საბაკალავრო ნაშრომი და მასში წარმოდგენილია, როგორც საგნობრივად ერთ სილაბუსში „კვლევის მეთოდები“, ასევე მიმოფანტულია სხვა სილაბუსებშიც და განხილულია, თუმცა დამატებით, სხვა სილაბუსი არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ნახა თუ არა ექსპერტთა ჯგუფმა საბაკალავრო ნაშრომები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ნახა საბაკალავრო ნაშრომები.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

ვიცე-რექტორმა, თეა იმედაძემ განაცხადა, რომ მის მიერ ჩამოთვლილი თანამშრომლობებით უსარგებლია „საერთაშორისო ურთიერთობების“ პროგრამის სტუდენტებსაც, მიუხედავად იმისა, რომ წელიწადნახევარია პანდემიაა, აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულთა 20%-მდე ნამყოფია გაცვლითი პროგრამით და პანდემიის პირობებში უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ იქნა გაცვლითი პროგრამა ლოძის უნივერსიტეტში ონლაინ რეჟიმში, რომელშიც განსახილველი პროგრამის სტუდენტებს პანდემიის მიუხედავად ჰქონდათ საქართველოდან გამგზავრების გარეშე ჩართვის შესაძლებლობა.

ინგლისური ენის კომპონენტთან დაკავშირებით რექტორმა განაცხადა, რომ პროგრამაში ინგლისური ენა არის ძლიერად წარმოდგენილი, მისი კომპონენტიც საკმაოდ საფუძვლიანადაა, მაგრამ არ არის სხვა ენები, აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, ზვიად როგავას.

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, ზვიად როგავას განცხადებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მას ჰქონდა პრინციპული პოზიცია, რომ მეორე ენა, რაც არსებობდა მათ პროგრამაში ამოეღოთ, რადგან, როგორც გამოკითხვებმა და მისმა პრაქტიკამ აჩვენა მეორე

ენა იყო აბსოლუტურად ფორმალობა, 4 სემესტრის განმავლობაში სტუდენტი A1, A2 დონეზე გადიოდა, ანუ ვერც ინგლისურის შესწავლა ხდებოდა სრულყოფილად და ვერც მეორე ენის, შესაბამისად მეორე ენა ზედმეტი იყო განსახილველი პროგრამისთვის, რადგან ვერ გადიოდა დონეზე, მისი პრინციპული პოზიცია იყო, რომ 6 სემესტრი ესწავლებინათ ინგლისური ენა, მათ შორის ბოლო 2 სემესტრი სპეციალური, დარგობრივი ინგლისური ენა და ეს ყველაფერი დამთავრებულიყო ინგლისურენოვანი სავალდებულო კურსის შეთავაზებით, ამ შემთხვევაში ინგლისური ენის შესწავლა უფრო სრულფასოვანი იქნებოდა. შემდეგ მან შეისწავლა უცხოეთის პრაქტიკა, სადაც ასწავლიან არაბულ და ჩინურ ენას, თუმცა შემდეგ პროგრამაზე მიბმული აქვთ სპეციალური მოდული, და, მაგ., არაბულ ენას კვირაში დატვირთვა აქვს 10-12 საათი, ანუ ასწავლიან ძლიერად და შემდეგ მოდულია არაბეთის ქვეყნები და ამ მოდულზე გადის, ან ჩინეთი და მთლიანად ჩინეთზე გადის, განსახილველი პროგრამა კი ევროპულ-ამერიკულ მიმართულებაზე გადის, თუმცა ვერც ჩინეთსა და ახლო აღმოსავლეთს ვერ აცდნენ და აქვთ არჩევითი კურსების სახით, თუმცა მისი მოსაზრება იყო, რომელზეც თავიდან პროგრამის ხელმძღვანელი არ ეთანხმებოდა, რომ ჯობია სტუდენტმა ერთი იცოდეს და საფუძვლიანად, ვიდრე ორი და უსაფუძვლოდ, ამასთანავე სხვა უცხო ენები გაიტანეს კურიკულუმის ფარგლებს გარეთ, უნივერსიტეტი აბსოლუტურად უფასოდ სთავაზობს ზემოაღნიშნული 3 ენის შესწავლას იმ სტუდენტებს, რომელთაც სურვილი ექნებათ რომ შეისწავლონ.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიზო ჭელიძემ დაადასტურა, რომ პროგრამის განახლების დროს თითოეულ სასწავლო კურსთან დაკავშირები მათ ნამდვილად ჰქონდათ ძალიან საინტერესო დისკუსია, ბევრ საკითხში იყოფოდა მათი მოსაზრებები, მაგრამ დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა არგუმენტირებულად შეძლო მათი დარწმუნება. მან განმარტა, რომ თვითონ არის „საერთაშორისო ურთიერთობების“ კურსდამთავრებული ყველა დონეზე და უსწავლებია ბევრ უნივერსიტეტში, ასევე ჰქონია შეხება სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან, სხვადასხვა გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, შესაბამისად, როდესაც დააკვირდნენ უცხო ენის შემოტანას, მაგ., 2 წელი ისწავლებოდეს ესპანური ან ერთი სემესტრი, შეუძლებელია სტუდენტმა შეძლოს სრულყოფილად დაუფლება, რაღაცას გაიგებს და შემდეგ შესაძლოა გაუჩნდეს ინტერესი, რომ გაიღრმავოს ცოდნა, მაგრამ „საერთაშორისო ურთიერთობების“ სპეციალისტისთვის აუცილებელია კომუნიკაციის დამყარება და ამ ენაზე მან შეძლოს კომუნიკაციის დამყარება წარმოუდგენელია, ამით უნდა დაეკლოთ საათები ინგლისურისთვის, თუმცა გააძლიერეს ინგლისური, პროფესიული ინგლისურით, ანუ მათთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტმა კარგად შეისწავლოს ძირითადი ენა, რაც შეეხება დამატებით ენას დაწესებულება სთავაზობდა სურვილის შემთხვევაში. მან გაიხსენა, რომ როცა თვითონ სწავლობდა, 2002 წელს, მისმა მეგობრებმა აირჩიეს ჩინური ენა და დიდი სურვილი ჰქონდათ, რომ ჩინეთი, მომავალი ეკონომიკური კავშირისა და სხვა მიზეზები გამო, თუმცა ზუსტად ერთ თვეში დაანებეს თავი, შემდეგ მან აირჩია რუსული ენა, რადგან მეტ-ნაკლებად იცოდა და ჩააბარებდა, არ ექნებოდა საფიქრალი თუ რა უნდა გაეკეთებინა, ვიღაცამ იცოდა გერმანული და აირჩია გერმანული, რადგან სკოლაში სწავლობდა, საბოლოო ჯამში ასე გავიდნენ ფონს და მეორე ენა უფრო ზედმეტი ტვირთი იყო, ვიდრე რეალური ცოდნის მიმცემი, ამიტომ განსახილველი პროგრამის შემთხვევაში დაეთანხმა დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, რომ ჯობია სტუდენტებს ესწავლათ ერთი ენა, ამისთვის შემოიტანეს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსიც, სურდათ რუსული ენის გაძლიერება 2014 წლის პროგრამაში, რადგან საქართველოს ბევრ პოსტ-საბჭოთა ქვეყანასთან აქვს ურთიერთობა, მაგრამ დაეთანხმა დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, რომ 2 სემესტრში ენის ამოწურვა ძალიან რთული იქნებოდა.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ განაცხადა, რომ მას ესმის დაწესებულების წარმომადგენლების პოზიცია, თუმცა ვერ გაიზიარა მოსაზრება, რომ არ არის საჭირო ან მეორე ენას სტუდენტები ვერ აითვისებენ სრულფასოვნად, ვინაიდან პროგრამა აგებულია ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი მოდელის მიხედვით, რაც გულისხმობს „მაინორის“ გარეშე სწავლებას და 240 კრედიტის ფარგლებში სრულიად შესაძლებელი იყო, თუნდაც არჩევითი საგნების ნაწილში, სხვა უცხო ენების შეთავაზება ნაკლები მოცულობის კრედიტებით (4 ნაწილად).

რექტორმა განაცხადა, რომ აბსოლუტურად გასაგები/მისაღებია საბჭოს წევრის მოსაზრება, ამ შემთხვევაში დაწესებულების წარმომადგენლებმა უნდა განიხილონ საბჭოს წევრის პოზიცია, რადგან უნივერსიტეტმა სტრატეგიულად აირჩია აღნიშნული პოზიცია მისი პრაქტიკიდან გამომდინარე. ასევე გასათვალისწინებელია მათი აბიტურიენტების/სტუდენტების დონეც, სკოლა და ეროვნული გამოცდები არ აძლევს დაწესებულებას ისეთ დონეს, რომელსაც თუნდაც ჩაბარებული აქვს უცხო ენის გამოცდა და ჩათვალონ ნულიდან არ უწევს სწავლის დაწყება უცხო ენაში, ამიტომ უნივერსიტეტისგან ჩაითვალა, მისი სტრატეგიული გადაწყვეტილება იყო - ინგლისური ენა, რომელიც საერთაშორისო ენადაა აღიარებული ყოფილიყო გაძლიერებული და მეტი აქცენტი გაეკეთებინათ მასზე, თუ პროცესი აჩვენებთ, რომ ამ მიმართულებამ კარგად იმუშავა ცვლილებების შეტანას კანონმდებლობის/აკრედიტაციის თანახმად შესაძლებელი იქნება მომავალშიც. ასევე, სწორად აღინიშნა თუ რომელი მოდელით/სტრატეგიით წავიდა უნივერსიტეტი და ამ კუთხით სტანდარტთან მიმართებაშიც სრულად არის დაცული პირობები. კვლევის მეთოდების საკითხზე სასაუბროდ სიტყვა გადასცა დეკანის მოვალეობის შემსრულებელს, ზვიად როგავას.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ სილაბუსთან დაკავშირებით ვერ ისაუბრებდა, რადგან არ არის დარგის სპეციალისტი, თუმცა განმარტა, რომ მათ აქვთ სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“, შემდეგ „კვლევის მეთოდები“ და აღნიშნულ რჩევას მიიღებენ და გადასცემენ საგნის წამყვან პროფესორს, ასევე დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან, რომ უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდები და არა ზოგადად, სოციალური კვლევის მეთოდები.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ იზიარებს საბჭოს წევრის მოსაზრებას Case study-სთან დაკავშირებით, რადგან ძალიან დიდი დავაა იმასთან მიმართებით სოციალური კვლევის მეთოდების მიღმა არსებობს თუ არა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდები, რომლებიც კონკრეტულად ამ დარგს მოემსახურება. მისი მოსაზრებით, საერთაშორისო ურთიერთობები ძირითადად საზრდოობს სოციალური კვლევის მეთოდებით და პრინციპულად საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდები რთულად გამოსაყოფია, თუმცა ის ფაქტი, რომ რაოდენობრივ კვლევის მეთოდებზე მეტად Case study და ლიტერატურის დამუშავება სჭირდება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტს, მისაღებია და აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, თეონა მატარაძეს.

საბჭოს წევრის, თეონა მატარაძის თქმით, მას არ უგულისხმია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებს ცალკე კვლევის მეთოდები აქვს, უბრალოდ ურჩია სპეციფიკურად შეერჩიათ კვლევის მეთოდები. მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი დოკუმენტაციას და ვერსად ნახა საბაკალავრო ნაშრომები, დააზუსტა ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა და დოკუმენტაციაში არ დევს თუ რატომ მოხდა ასე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა საბაკალავრო ნაშრომი და შემდეგ დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე იქნა წარდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ცენტრის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ იყო თუ არაა წარმოდგენილი საბაკალავრო ნაშრომები.

ცენტრის წარმომადგენელმა, სოფიკო ქურასბედიანმა განაცხადა, რომ დააზუსტებდა პროგრამის კოორდინატორთან.

დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს შეეძლოთ აეტვითათ საბაკალავრო ნაშრომები.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ესაუბრა თუ რამდენად აკმაყოფილებდა სტანდარტს საბაკალავრო ნაშრომები, გაფორმების წესითა და შინაარსით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით აკმაყოფილებდა სტანდარტებს, გარდა ამისა საუბარი იყო, რომ საბაკალავრო ნაშრომი პლაგიატის პროგრამაზე და ნაშრომიც აკმაყოფილებდა სტანდარტებს.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ანზორ ბერიძეს.
საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე მიესალმა ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენლებს. იგი დაინტერესდა, თუ რამდენად მისაღებია დაწესებულების პოზიცია ექსპერტთა ჯგუფისთვის პრაქტიკასთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პრაქტიკასთან დაკავშირებით იყო მნიშვნელოვანი მომენტი, რასაც ხაზი გაუსვეს, უმჯობესია წარმოდგენილ მემორანდუმებში დაფიქსირებული ყოფილიყო პარლამენტთან არსებული მემორანდუმი, რადგან სამწუხაროდ, საერთაშორისო ურთიერთობებში პრაქტიკასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრომ მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გააფორმა ხელშეკრულება და სხვასთან არ აფორმებს, არის მეორე შანსი და ამჟამად ყველა უნივერსიტეტი ხელშეკრულებას აფორმებს პარლამენტთან, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ პარლამენტში გაიარონ პრაქტიკა, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში, ევროინტეგრაციის კომიტეტში და როდესაც საუბარი იყო სასწავლო პრაქტიკაზე ერთ-ერთი მომენტი იყო ეს და ექსპერტთა ჯგუფისთვის აბსოლუტურად მისაღებია დაწესებულების პოზიცია.
ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით კი მან განაცხადა, რომ იგულისხმეს ხელშეკრულებები და განსაკუთრებით ICM ხელშეკრულებები, K7, Erasmus+-ის ხელშეკრულებები, ეს მიმართულება იყო ნაგულისხმევი.
რექტორმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ძალიან ბევრი პარტნიორი ჰყავს და ბევრი მემორანდუმი და ხელშეკრულებაა დადებული, თუმცა არის სხვა პრაქტიკაც, მაგ., პროგრამის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ლევან მაყაშვილი არის პარლამენტის თავმჯდომარის ბიუროს ხელმძღვანელი, დაწესებულებას შეიძლება არ აქვს ხელშეკრულება, თუმცა არსებობს პრაქტიკა, რომ სტუდენტები ხან საგარეო საქმეთა სამინისტროში არიან, უშუალოდ მათი პედაგოგი აორგანიზებს აღნიშნულ პროცესს, ან პრაქტიკული დღეები, ან სტაჟირება შეიძლება გამოცხადდეს, მაგრამ ამ ნაწილში ფორმალიზება რომ იყოს დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, პარლამენტთან და ქალაქის მერიასთან, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტთან აქვთ ხელშეკრულებები, ქალაქის მერიასთან მომზადდა მსხვილმასშტაბიანი კონტრაქტი, და პარლამენტთან და მერიასთან ივნისამდე დაიდება.
ექსპერტის, ირაკლი გორგილაძის თქმით, ის, რომ პრაქტიკის კომპონენტი ჩაშლილია სხვადასხვა სასწავლო კურსში ექსპერტთა ჯგუფმა შეფასების ნაწილში აღწერა, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუებიდან გამოიკვეთა პრაქტიკის კომპონენტის დეფიციტი, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასურველი იქნებოდა ცალკე კომპონენტად გამოყოფა, თუმცა ის რომ ინტეგრირებულია სასწავლო კურსებში ძლიერ მხარედ აღნიშნეს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენლებს, ხომ არ დააზუსტეს საბაკალავრო ნაშრომების შესახებ ინფორმაცია.
ცენტრის წარმომადგენელმა, სოფიკო ქურასბედიანმა განაცხადა, რომ ვიზიტის განმავლობაში გამოთხოვილ იქნა და უბრალოდ საბჭოს მასალებში არ არის ატვირთული აღნიშნული დოკუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭომ სწორად ეძება და არ გამორჩათ.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:43
დასრულების დრო: 16:51
ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საბჭომ საჭიროდ მიიჩნია ექსპერტთა ჯგუფის დაბრუნება სხდომაზე და მათთვის დამაზუსტებელი კითხვების დასმა საბაკალავრო ნაშრომებთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ დამაზუსტებელი კითხვები საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომები არ იქნა გამოთხოვილი ინსტიტუციიდან, შესაბამისად დაინტერესდა, ამ ფაქტით, რადგან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ სამჯერ დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო საბაკალავრი ნაშრომებს და ისინი შესრულებულია ყველანაირ სტანდარტთან შესაბამისობით, აქედან გამომდინარე, სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ და უფრო მეტი სიცხადე შეემატებინათ აღნიშნული საკითხისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ერთი საბაკალავრო ნაშრომი და ეძებს ელ.ფოსტაზე, თუ სად არის გადაგზავნილი, ასევე საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით აქტიური განხილვის თემა ჰქონდათ პლაგიატისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა დაინტერესდა საბაკალავრო ნაშრომების სია ჰქონდათ და იქიდან გამოითხოვეს რომელიმე ნაშრომი, თუ ნებისმიერი ნაშრომი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სია არ ჰქონიათ, გამოითხოვეს ნებისმიერი ნაშრომი.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრის წარმომადგენლებს სთხოვა დაეზუსტებინათ იყო თუ არა გამოთხოვილი საბაკალავრი ნაშრომები.

ცენტრის წარმომადგენელმა, ანა ლელაძემ განაცხადა, რომ გადაამოწმა ელ.ფოსტაზე წერილები და გაგზავნილი საბაკალავრო ნაშრომი არსად ფიქსირდება, თუმცა არის გაზიარებული ლინკი, პლაგიატთან დაკავშირებით, რომელიც დაწესებულების ვებ-გვერდზე არის განთავსებული და ეს მიაწოდა დაწესებულების წარმომადგენელმა, საბაკალავრო ნაშრომი კი არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ ზეპირსიტყვიერი განხილვა ინსტიტუციის მიერ ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების შესახებ გასაგებია. დაინტერესდა თუ რა აძლევს ექსპეტთა ჯგუფს საფუძველს, განაცხადოს, რომ საბაკალავრო ნაშრომები ექსპერტთა ჯგუფმა ნახა, შეამოწმა, დააზუსტა, რომ სტანდარტებთან შესაბამისობაშია, თუ აღნიშნული დოკუმენტების გამოთხოვა არ მომხდარა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისთვის უცნობია, რადგან ახსოვდა ერთ საბაკალავრო ნაშრომი, რადგან ჰქონდათ საუბარი საბაკალავრო ნაშრომებზე და გამოითხოვეს ერთი ნაშრომი, თუმცა ვერ იპოვა ელ.ფოსტაზე, შესაძლებელია, რადგან განხილვა იყო საბაკალავრო ნაშრომზე ჰქონდათ ნანახი, თუმცა ამჟამინდელი მონაცემებით ვერ აზუსტებს, რადგან ყველაფერში ეპარება ეჭვი, რომ ნანახი აქვს საბაკალავრო ნაშრომი, აშკარად ჰქონდათ საუბარი პლაგიატთან დაკავშირებით, ელოდებოდა რომ მოვიდოდა და ეს ვიზიტი მარტში იყო და მისი შეცდომაა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს პოზიციის დაფიქსირებისთვის და სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ნინო ჭალაგანიძეს.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ რამდენჯერმე ახსენა ერთი საბაკალავრო ნაშრომი, იგი დაინტერესდა თუ რა პრინციპით შეირჩა ეს ერთი საბაკალავრო ნაშრომი და რამდენად საკმარისია შესაბამისი დასკვნების გამოსატანად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ დასკვნების გამოსატანად საკმარისი არ არის, თუმცა დაწესებულებას საბაკალავრო ნაშრომების სია არ გადაუგზავნია, უბრალოდ საუბარი იყო, რომ უნდა გადაეგზავნათ, როგორც ნახა საბაკალავრო ნაშრომი არ აქვს, ასევე დაადასტურა, რომ საკმარისი არ არის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ირაკლი გორგილაძემ განაცხადა, რომ საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებით მას კარგად ახსოვს ინტერვიუებიდან ჰქონდათ, როგორც აკადემიურ პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან საუბარი, თუ რა პრინციპით ხდება თემის შერჩევა, როგორ და სად მტკიცდება თემა და შემდეგ უკვე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ისაუბრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომების ფიზიკურად გაცნობა არ მომხდარა, ეს იყო ზეპირსიტყვიერი განხილვა ინსტიტუციასა და ექსპერტთა ჯგუფს შორის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:57

დასრულების დრო: 17:36

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.3 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.4 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ , მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; თუმცა კომპონენტების შეფასების ცვლილებას არ გამოიწვია პირველი და მე-2 სტანდარტების შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები.

აკრედიტაციის საბჭომ დაამატა შემდეგი რეკომენდაცია:

1. სოციალური კვლევის მეთოდების კურსში გაძლიერდეს საერთაშორისო ურთიერთობების დარგის რელევანტური კვლევის მეთოდების კომპონენტები (მაგ. შემთხვევის შესწავლა, მეორადი მონაცემების ანალიზი);

რჩევებშიგადავიდაშემდეგირეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

1. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის, ტრენინგებისა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას; უნივერსიტეტში მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას; მეტ უცხოურ უსდ-სთან კავშირსა და თანამშრომბლობას; სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას;

2. მიზანშეწონილია პროგრამაში დაემატოს სხვა უცხო ენების ბლოკი სავალდებულო ან/და არჩევით კურსების სახით;

3. უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდეს საქართველოში მოქმედი კვლევით და ანალიტიკურ ცენტრებთან ახალი პარტნიორული ურთიერთობების დამყარების პროცესები, რათა 23 სტუდენტებს შეექმნათ საკუთრი ცოდნის გაფართოებისა და პრაქტიკაში გამოყენების კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა;

4. სასურველია ასევე უფრო მეტი მოწვეული სტუმრის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში და სხვადასხვა პრაქტიკული აქტივობების დამატება, რათა სტუდენტებს მიეცეთ საშუალება გაეცნონ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს პრაქტიკული მხარეს და შეიძინონ დამატებითი პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოცემული მიმართულებით;

5. ამასთანავე სასურველი იქნება სამომავლოდ პროგრამის ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობა, რაც თავის მხრივ სამომავლოდ უზრუნველყოფს პროგრამის საერთაშორისო ურთიერთობების კომპონენტის გაძლიერებას.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

17:39 საათზე საბჭო დატოვა დავით კაპანაძემ.

2. მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოს დაცვის ინჟინერიის და გამოყენებითი ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტლება №31, 16.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი გარემოს ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	გარემოს დაცვის ტექნოლოგია 0712
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	4600, ქუთაისი ახალგაზრდობის გამზ.98,

		სასწავლო კორპუსი №7 და №8.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის წევრები: ვაჟა ტრაპაიძე (თავმჯდომარე), გიორგი ბრეგვაძე, სოფიკო შარაბიძე. მან განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 9 მარტს, ყველა სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ვიზიტის, ინტერვიუებისა და დოკუმენტაციაზე გაცნობის დროს არ გამოკვეთილა ისეთი ხარვეზი, რომელიც მნიშვნელოვნად შეაფერხებდა პროგრამის აკრედიტაციისა და ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის პროცედურას, აქედან გამომდინარე პროგრამას აქვს ძალიან კარგი საერთაშორისო თანამშრომლობა, დასაქმების მაჩვენებელი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ამ და სხვა სტანდარტების შეჯამების საფუძველზე წარმოადგინეს აღნიშნული დასკვნა; ექსპერტთა ჯგუფს არ აქვს რეკომენდაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელი, ციცინო თურქაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ მისთვის სასიხარულოა გარე ექსპერტების მხრიდან მიღებული კარგი შეფასება და მისი თქმით, ვიზიტი წარიმართა ნორმალურად, ყველა სტანდარტის განხილვითა და შეფასებით, პროგრამა 10 წლის განმავლობაში ფუნქციონირებს აკრედიტებულ რეჟიმში და აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ფუნქციონირების/გამოცდილების პირობებში დაწესებულება თვითონ აფასებს და იყენებს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მდგრად მექანიზმებს, რაც მიმართულია პროგრამის გაუმჯობესებისკენ, რომ გამოიყენონ საერთაშორისო მიმართებები, დაეყრდნონ ანალოგიურ პროგრამებს, გაიზიარონ მათი კარგი გამოცდილებები და ამ კუთხით პროგრამა კიდევ უფრო მეტად განვითარდება, რისთვისაც დაწესებულებაში არსებობს შესაბამისი მექანიზმები, გუნდი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, შესაბამისად ამ მხრივ აქვთ კარგი წინაპირობები, რათა უფრო მეტ დროში ცვალებად გამოწვევას უპასუხონ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მან დაადასტურა, რომ პროგრამა მისთვის კარგად ნაცნობია და

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ამ პროგრამის ქვეშ იმყოფება უნივერსიტეტში, მან განაცხადა, რომ „ტრენდივით“ არის ქუთაისის უნივერსიტეტში, რომ ლაბორატორიულ მეცადინეობებს ეძახიან პრაქტიკულ მეცადინეობებს და არც თუ იმდენ საათს მოიცავს, განიხილება ეკოლოგიის პროგრამა, მაგრამ როდესაც ქიმიის საგანს სწავლობს, ლაბორატორიული მეცადინეობების საათობრივი ბადეც ცოტა უფრო მეტად უნდა იყოს დატვირთული, დაინტერესდა პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებით, ვინაიდან განსახილველი პროგრამა არ არის ტიპური ეკონომიკის პროგრამა, რაც მოსწონს საბჭოს წევრს, საინჟინრო ეკოლოგიის კუთხით არის პროგრამა და რეალურ ეკოლოგიურ პრობლემებს ინჟინერიასა და ტექნოლოგიაში ამ დარგის სპეციალისტები აგვარებენ, რომელთაც პრაქტიკული გადაწყვეტის გზები იციან, მაგ., თუ რომელიმე ქარხანას ზედმეტი კვამლი გასდის, როგორ უნდა ეშველოს მას და არა მარტო კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ უშუალო ჩარევით, შესაბამისად ასეთ ადამიანებს ბევრი პრაქტიკული უნარები სჭირდებათ, კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მას არ მოსწონს ლაბორატორიულ მეცადინეობაზე პრაქტიკული მეცადინეობის დარქმევა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გაიოზ ფარცხალაძეს.

საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მან განაცხადა, რომ მასაც ძალიან მოეწონა აღნიშნული პროგრამა, მაგრამ დაინტერესდა, რადგან კვალიფიკაციაში ხომ არ ჯობდა გარემოს ინჟინერიის ბაკალავრი დაერქვათ, ვიდრე ის რაც ჰქვია.

პროგრამის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ ჰქვია „მეცნიერების ბაკალავრი“.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ჰქვია „მეცნიერების ბაკალავრი გარემოს ინჟინერიაში“ და მისი მოსაზრებით, „გარემოს ინჟინერიის ბაკალავრი“ უნდა იყოს. მან განმარტა, რომ გაეცნო პროგრამას და მისთვის სასიხარულოა, რომ ეხებიან, როგორც ფეროშენადნობთა ქარხანას, მეტალურგიის ნაწილს, რაც ჰაერს აბინძურებს, მაგ., აზოტის ქარხანა და სხვა, მათ გაწმენდაზე ზრუნავენ, თუმცა აქ არის რამდენიმე სასწავლო კურსი, რომელსაც სტუდენტი გაყავს კვალიფიკაციაზე, მაგ., „სამრეწველო ეკოლოგია“, რომლის წინაპირობაა „ნარჩენების მართვა“, თავისმხრივ მისი წინაპირობაა „ქიმიური ტექნოლოგიები და აპარატები“ მისი წინაპირობა კი „ჰიდრო და აერო მექანიკაა“, ასე არის გადაბმული და რამდენიმე მიმართულება აქვთ ასეთი, „ნარჩენების მართვაში“ ძალიან კარგად არის ჩამოყალიბებული პრაქტიკული მხარე, რომ თეორიას მოყვება პრაქტიკა და პრაქტიკული რიცხვითი მაგალითებით იქნება თუ სხვა მეთოდებით აქვთ გაკეთებული, იგივე ხდება „ჰიდრო და აერო მექანიკაში“, როგორც ლაბორატორიული არის დამატებული, მაგრამ ისეთი საგანი, როგორიცაა „სამრეწველო ეკოლოგია“, მან სილაბუსში ვერ დაინახა რაიმე პრაქტიკული მაგალითი, აკეთებენ SWOT ანალიზს და სხვ., მისი მოსაზრებით/გამოცდილებით, პირიქით იქ უნდა იყოს ძალიან პრაქტიკული, პროექტზე დაფუძნებული რიცხვითი მაგალითი, გაზომვადი ტექნოლოგიური პროექტი, რომ გადაამუშავონ სამრეწველო ნარჩენები და არა სტუდენტი მივიდეს რაღაც აზრზე, ეს ყველაფერი კარგია დასაწყისში სოციალური მიმართულების პროგრამებზე. სასწავლო კურსთან „ჰიდრო და აერო მექანიკა“, სადაც წარდგენილია, სითხეების მექანიკა, ჰიდრავლიკა, ჰიდროსტატიკა, აეროდინამიკა, ჰიდრო მანქანები, თანაც სერიოზულადაა თემები წარდგენილი და არაფერი არ არის გამოტოვებული, დაინტერესდა თუ როგორ ახერხებს დაწესებულება ზემოაღნიშნული 3 სააგნის ჩატევას 5 კრედიტში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ნინო იმნაძეს.

საბჭოს წევრი, ნინო იმნაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. იგი დაეთანხმა კოლეგებს (საბჭოს წევრებს), განაცხადა, რომ მისთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა აღნიშნული პროგრამა, „საინჟინრო გრაფიკა“, „ლანდშაფტური ხელოვნება“, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი არჩევითი სასწავლო კურსია, მას ძალიან მოეწონა, რომ წერია „ლანდშაფტური ხელოვნება“ და არა „ლანდშაფტური არქიტექტურა“, მისი მოსაზრებით, ორივე სასაწავლო კურსი ძალიან საინტერესოა, და სრულყოფილი სილაბუსებით არის წარდგენილი, აღნიშნულ სასწავლო კურსებში არის ისეთი პრაქტიკული დავალებები, რომლებიც მოითხოვს დისტანციურ რეჟიმში გადასვლის შემდეგ მეთოდების მორგებას და

დაინტერესდა, თუ როგორ მოახერხეს აღნიშნული. ასევე, დაინტერესდა და მოეწონა სასწავლო კურსი „გარემოსდაცვითი პროექტი“, რომელიც მისი მოსაზრებით, თითქმის საბაკალავრო ნაშრომის ტოლფასია, მრავალფეროვანი და საინტერესო კურსია, სტუდენტები დაყოფილნი არიან 5-5 სტუდენტად, მაგრამ ჩანაწერია, რომ მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამაზე და დაინტერესდა თუ რა ნაწილი მოწმდება და რა შედეგები აქვთ. ასევე დააზუსტა, თუ რამდენად პოპულარულია „ლანდშაფტური ხელოვნება“, ანუ რამდენად ხშირად ირჩევენ სტუდენტები მას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მან ისაუბრა შრომის ბაზრის კვლევაზე და დასძინა, რომ წარდგენილი დოკუმენტი რამდენად არის შრომის ბაზრის კვლევა უცნობია, მისი მოსაზრებით, ეს არის ეკლექტიკური ნაზავი, ბოლოში რაღაც ინგლისური ტექსტით და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს აეხსნათ თუ რატომ იყო ასე. მისთვის გასაგებია, რომ შრომის ბაზრის კვლევა ტრადიციულად/სტანდარტულად არ არის ხოლმე. მან განმარტა, რომ ბიუჯეტზე აღარ ისაუბრებდა, რადგან ტრადიციულად გაუგებრობა აქვს დაწესებულებას წარდგენილი, მაგრამ ამბობენ, რომ ასე აქვთ მიღებული უნივერსიტეტში და აქაც ვერაფერს ამბობს საბჭოს წევრი, საიდანაც დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, თუ რაში იხარჯება თანხები.

მისი განცხადებით, დაწესებულებას მიზანში უწერია, რომ კურსდამთავრებულს ექნება მონიტორინგისა და დროის მენეჯმენტის უნარები, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ საიდან ექნებოდა სტუდენტს აღნიშნული უნარები, როგორ გადიან აღნიშნულ უნარებზე.

„წარმოების მენეჯმენტის“ სავალდებულო სასწავლო კურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მას არ აქვს წინაპირობა ანუ სტუდენტს არაფერი აქვს ნასწავლი, მენეჯმენტის საფუძვლებიც კი, ეკონომიკის არცერთი კურსი არ აქვს და უცებ ასწავლიან „წარმოების მენეჯმენტს“, რომელიც ნაწილობრივ „ოპერაციათა მენეჯმენტის“ საკითხებია, ნაწილობრივ „მენეჯმენტის“, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ გადის სტუდენტი შედეგზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების საბჭოსთვის გაცნობა და შეეცდებოდა ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი გაეცა.

პირველ კითხვასთან, რომელიც ეხებოდა ლაბორატორიულ/კვლევით კომპონენტს, დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ კუთხით წავიდნენ სხვა გზით, იგი არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ლაბორატორიული კომპონენტი შეკვეცილია პროგრამაში და ლაბორატორიულ პრაქტიკულებზე არიან გადასულები, რაც არ შეესაბამება რეალობას, რადგან დაწესებულებამ დაუშვა გარკვეული სასწავლო კურსები, რომლებსაც ექნებოდა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები და ცალკე გამოიტანეს საგნები, რომლებსაც მხოლოდ ლაბორატორიული სამუშაოები ჰქონდა, მაგ., „გარემოს დაბინძურების კონტროლი“ 29-ე სასწავლო კურსი, სასწავლო გეგმაში, სადაც სამოცივე საათი, 6 კრედიტიანი საგნის დათმობილია ლაბორატორიული სამუშაოებისათვის, ასევე „შრომის უსაფრთხოება“, სადაც 30 საათი ლაბორატორიულ სამუშაოს ეთმობა, „ანალიზური ქიმია“, სადაც ლაბორატორიული სამუშაოებია წარმოდგენილი, „გარემოს ქიმია“ – 30 საათი ლექციაა, 30 საათი ლაბორატორიული სამუშაოა და ყველგან, სადაც სილაბუსში ლაბორატორიული სამუშაო აქვთ გაწერილი ზუსტად არის გათვლილი, თუ რომელი ლაბორატორიაა და როგორ სრულდება, რა არის ლაბორატორიის წინაპირობა და თითოეულ თემას როგორ ხსნიან, როგორ ტარდება ლაბორატორიაში და შემდეგ სტუდენტი როგორ მიდის მეორე/მესამე დღეს, თვითონ როგორ ატარებს და რა შედეგებს იღებს, ასეთი მიდგომით ააგეს პროგრამა, მათი მოსაზრებით, კარგი გამოსავალი იყო ამ კუთხით და თუ პროგრამას გადახედავენ დარწმუნდებიან, რომ აღნიშნული კომპონენტი ნამდვილად არის წარდგენილი ძალიან დიდი მოცულობით.

კვალიფიკაციის შესახებ კითხვასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა ბევრი იმსჯელეს აღნიშნულ საკითხზე, არა მხოლოდ

განმახორციელებელმა გუნდმა, არამედ ფაკულტეტის საბჭოზეც და მიიღეს გადაწყვეტილება, რადგან პროგრამა ძირითადად ეყრდნობა ზუსტ, საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, გარკვეულწილად პროგრამის მიმართებები, რაც წარდგენილი აქვთ და კვლევითი/გარემოსდაცვითი პროექტი, სადაც კვლევის ელემენტებია შეტანილი საშუალებას აძლევდა აერჩიათ აღნიშნული კვალიფიკაცია, რომელიც არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის მოთხოვნებთან და გარკვეულ მიმართებებთან, მათ რაღაც ინოვაციური მიდგომები განავითარეს 10 წლის აკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების შედეგად.
„სამრეწველო ეკოლოგიის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს ჰქვია - „სამრეწველო ეკოლოგიის საფუძვლები“, რაც საბჭოს წევრმა წარადგინა მიმართებები, ანგარიშები თუ ა.შ. ეს „გარემოს დაცვის ინჟინერიის“ პროგრამაა, ამ კუთხით ანგარიშები, გარემოს დაცვის შეფასებები და ა.შ. სხვადასხვა კურსებშია ინტეგრირებული, აღნიშნულ კურსშიც გარკვეული მიმართებებია წარდგენილი და შესაძლებელია ითქვას, რომ, რაც არის სწავლის შედეგები ის არის წარმოდგენილი შინაარსშიც, აღნიშნულ კურსს პროგრამის ხელმძღვანელი უძღვება მის კოლეგასთან ერთად, არებობს მათი გაკეთებული სალექციო კურსის სახელმძღვანელო, რომელიც ეყრდნობა ევროკავშირის საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების სახელმძღვანელოებს და გარკვეული სფეროებია, როგორც მეტალურგიის, ასევე სხვადასხვა მსუბუქი/ქიმიური მრეწველობის და ა.შ. განხილული „სამრეწველო ეკოლოგიის საკითხებში“ და ფიქრობენ, რომ ეს მიმართებები ძალიან საინტერესოა, თუმცა ის მიმართებები, რაზეც საბჭოს წევრმა ისაუბრა აღნიშნულ სასწავლო კურსში ნამდვილად არის, მაგ., საწარმოო გაფრქვევების ანგარიში, რომელიც თემატიკაშიც ჩანს ძალიან კარგად და პრაქტიკული სამუშაოების სახელმძღვანელოშიც ჩანს, თუ საბჭოს ეს მიმართებები აინტერესებს, შესაძლებელია უფრო ღრმად განიხილოს იგი.
„ჰიდრო და აერო მექანიკასთან“ დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, სასწავლო კურსი ძალიან ტევადია, რადგან ბევრ საკითხებს მოიცავს, მაგრამ მიდიან იმ კუთხით, რომ რაც ძალიან მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის ინჟინერიისათვის ის საკითხები იქნას წარდგენილი და იმ საკითხების პარალელური ლაბორატორიული სამუშაოები შესრულდეს აღნიშნული სასწავლო კურსით და იმ ძირითად თეორიებს/პრაქტიკებს ამ სასწავლო კურსით უზრუნველყოფენ, თუ ხარისხის შიდა მექანიზმებით აღმოჩნდება, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს სჭირდება გაძლიერება არც ეს გაუჭირდებათ და არც საათების/კრედიტების გამოყოფა იქნება რთული. ამ ეტაპზე ეს სისტემაა და შემდეგ მონიტორინგისა და სწავლის შედეგების შეფასების ახალი სისტემა, რომელიც პროგრამაშია წარდგენილი რას აჩვენებს და ამის მიხედვით მიიღებენ გადაწყვეტილებას.
„საინჟინრო გრაფიკასა“ და „ლანდშაფტურ ხელოვნებასთან“ დაკავშირებით მან განმარტა, რომ უნივერსიტეტი სწრაფად გადავიდა „ონლაინ“ რეჟიმზე, რადგან მათ ჰქონდათ Microsoft-ის პროგრამები და შესაძლებლობები, შესაბამისად გამოიყენეს Microsoft Teams პლატფორმა და ამ კუთხით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ფაკულტეტზე მოახდინეს იმ სასწავლო კურსების იდენტიფიცირება, რომლებიც პირდაპირ, დისტანციურ რეჟიმში შეიძლებოდა განხორციელებულიყო, მაგრამ ასევე მოახდინეს იდენტიფიცირება იმ სასწავლო კურსები, რომელთა Microsoft Teams-თან ერთად სჭირდებოდა საუნივერსიტეტო გარემოში სტუდენტების შეხვედრები, ასეთი სასწავლო კურსები, სადაც ლაბორატორიულები, პრაქტიკულები და სტუდენტებთან ინდივიდუალური/ჯგუფური შეხვედრები იყო საჭირო საუნივერსიტეტო სივრცეში დაწესებულება წავიდა გარკვეულ, ინტენსიურ რეჟიმში კურსების გავლაზე, მაგ., ლაბორატორიული სამუშაოები დაგეგმეს ინტენსიურ რეჟიმში, ნაწილი სამუშაოებისა, რომლებიც წინაპირობა იქნებოდა ლაბორატორიული სამუშაოების ინტენსიურ რეჟიმში შესრულებისა Microsoft Teams-ის პლატფორმაზე ატვირთეს შესაბამისი მასალები, მოამზადეს სტუდენტები დისტანციურ რეჟიმში, რომ როდესაც უნივერსიტეტში დაბრუნდებოდნენ ლაბორატორიული/პრაქტიკული სამუშაოები გაევლოთ და ამ კუთხით

იმოქმედეს, გააკეთეს შესაბამისი გამოკითხვები და ხარისხის უზრუნველყოფის მექნიზმებიც გამოიყენეს.
„გარემოსდაცვით პროექტთან“ დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ სცადა საბაკალავრო ნაშრომის სტილზე ყოფილიყო ეს ყველაფერი, პლაგიატზე შესამოწმებლად უნივერსიტეტი იყენებს Turnitin-ის პროგრამას, ჯერ ახალი გამოცდილება აქვთ და ფიქრობენ ამ კუთხით, თუმცა პირველი კურსის „აკადემიური წერის საფუძვლებში“ დაგეგმეს Turnitin-ის გამოყენება და ფიქრობენ, რომ ეს პროგრამა მოამზადებს ახალი მიმართებებით, დაახლოებით 2 წლის შემდეგ მოუწევთ სტუდენტებს, რომლებიც აღნიშნულ პროგრამაზე სწავლობენ და ეს მიმართება არ გაუჭირდებათ, რომ Turnitin-ის პროგრამით გააკეთონ.
შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელი არ დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ ეს არ არის სრულყოფილი ან ღრმა, დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი კვლევა და, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი დიდიხანია ადევნებს თვალს შრომის ბაზარზე გარემოს დაცვითი ინჟინერიის მიმართულებით არსებულ მოთხოვნებს, დაწყებული ახალი პარლამენტის 2012 წლის გარემოს დაცვით კომიტეტის მიერ გამოცხადებული კონკურსებიდან, დამთავრებული გარემოს დაცვითი ინსპექტირების თუ ა.შ. ყველა მნიშვნელოვანი კონკურსი, რაც გამოცხადებულა იციან მისი მოთხოვნები და ამ მოთხოვნებს წლების განმავლობაში აჯამებდნენ და ისე დაიწყეს განსახილველი პროგრამის გაუმჯობესება, რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას ისინი დაეყრდნენ ძალიან მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტებს, ეროვნულ კვლევებს, ისეთებს როგორიცაა პროფესიების საერთაშორისო კლასიფიკატორი, ეს კვლევა არ არის, მაგრამ შრომის ბაზრისთვის მნიშვნელოვანი იყო აღნიშნული კლასიფიკატორი, რათა გაეთვალისწინებინათ მისი მიდგომები, გაეზიარებინათ რა ძირითადი პრინციპები იყო მათი მხრიდან გარემოსდაცვითი ინჟინერიის კუთხით, ასევე დაეყრდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კვლევებს, რაც ახლა არ გაუკეთებით 2015 წლიდან, როდესაც პირველი კვლევა გაკეთდა სულ ადევნებენ თვალს რა მიმართებები ჩანს, მაგ., სახელმწიფო აუდიტის დასკვნას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და შრომის ბაზრის თავსებადობაზე, შავით თეთრზე წერია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროგრამა, რომელიც არ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ და აუცილებელი იყო ქვეყნისთვის დასახელებული იყო განსახილველი პროგრამა, გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია პირდაპირ წერია, ასევე დაეყრდნენ კვლევებს, რომლებიც ჩატარდა უნივერსიტეტის მიერ შეკვეთის საფუძველზე, შრომის ბაზრის კვლევები და ასევე საერთაშორისო კვლევებს, სწორედ ის ინგლისური ნაწილი გარკვეული დანართები არის იმის დასასაბუთებლად, რომ დაწესებულება თვალს ადევნებს საერთაშორისო მასშტაბით გარემოს დაცვის ინჟინერიის სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისთვის რა ძირითადი მოთხოვნები და უნარებია. სწორედ აღნიშნული უნარების გათვლიდან გამომდინარე დაწესებულებამ გამოკვეთა, რომ მათ სურდათ პროგრამამ კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს სწორედ ის უნარი, რომელიც საბჭოს წევრმა ახსენა, მონიტორინგი და დროის მენეჯმენტის უნარები, ეს ვრცელი განაცხადია და მისი მიღწევა 240 კრედიტის ფარგლებში, რაც პროგრამას გამოყოფილი აქვს რთულია. დაწესებულებას სურს დარწმუნდეს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში მონიტორინგი გარემოს დაცვითი ინჟინერიის კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან გარემოს დაცვით მონიტორინგი აქვთ და აქ ჰაერის, წყლის და ა.შ. დაცვის მონიტორინგია, მნიშვნელოვნად არის დროის მენეჯმენტის უნარები, ლაბორატორიაში ცდების გაკეთება, დროში ჩატევა თუ ა.შ. ასეთ დროის მენეჯმენტზე საუბრობენ, რომელიც სფეროს სფეციფიკურ მონიტორინგსა და დროის მენეჯმენტის საკითხებზე საუბრობს, რომელიც ასევე ზოგად უნარებზე გადის.
„ლანდშაფტურ ხელოვნებასთან“ დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი ძალიან მნიშვნელოვანია და პოპულარულია სტუდენტებში, უმეტესობა სტუდენტი ირჩევს აღნიშნულ არჩევით სასწავლო კურსს.

„წარმოების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი დაწესებულების წარმომადგენლების მოსაზრებით, სპეციფიკიდან გამომდინარე ზოგადია და შესაძლებელია „წარმოების მენეჯმენტის საფუძვლებიც“ კი დაერქვას მას, აღნიშნული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ცოდნასა და გაცნობიერებაზე უფრო არის აგებული: აღწერს, ახასიათებს, აწარმოებს, გარკვეული საკითხების გადაწყვეტაში პროფესიიდან გამომდინარე მონაწილეობს მოლაპარაკებებში, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ღირებულებების ფორმირებაში, აცნობიერებს ზუსტი და თანადროული მუშაობის მნიშვნელობას აღნიშნული კუთხით „წარმოების მენეჯმენტი“ გარკვეულწილად დეკლარირებულ სწავლის შედეგებზე, რაც პროგრამისათვის იყო მნიშვნელოვანი ამ კუთხით გადის, თუმცა პროფესიულად და ბიზნესის მენეჯმენტის კუთხით თუ შევხედავთ განსახილველი პროგრამის მიმართებები სხვაა. პროგრამა, რომელიც ექსპერტებისა და საბჭოს მიერ კარგად შეფასდა ეყრდნობა საერთაშორისო გამოცდილებას, დაწესებულებამ ძალიან კარგი კონტაქტები დაამყარა სხვადასხვა ევროპულ უნივერსიტეტთან, მათ შორის კაუნასის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან და შვეიცარიის ეპფელის უნივერსიტეტი აღნიშნულ უნივერსიტეტებთან ჰქონდათ საერთაშორისო პარტნიორობა და გრანტი, მაგ., შვეიცარიის ეროვნული ფონდის გრანტი, გრანტიორებს ჰქონდათ შესაძლებლობა ეპფელის შიდა ბაზებთან ჰქონოდათ წვდომა, მაგ., თვითონ და შიდა ბაზებიდან ენახა როგორი იყო მათი პროგრამა/სილაბუსები და ა.შ. ასევე კაუნასის უნივერსიტეტის სხვადასხვა მიმართებებთან დაკავშირებით, რაც ასევე გაითვალისწინეს განსახილველ პროგრამაში.

18:00 საათზე საბჭოს შემოუერთდა დავით კაპანაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მან განაცხადა, რომ კლასიკურად მენეჯმენტის ქუდის ქვეშ რაც მოიაზრება ამ სილაბუსთან თითქმის არ აქვს შეხება, რადგან საუბარია სულ სხვა თემატიკაზე, ძალიან საინტერესოზე, თუმცა მენეჯმენტთან შეხება არ აქვს, მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინა, თუ რატომ ჰქვია საგანს „შესავალი გარემოს დაცვის მენეჯმენტში“. ასევე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე „გარემოს დაცვის მენეჯმენტში“ სხვა ღონისძიებები მოიაზრება ხოლმე, მათ შორის ხე-ტყის რესურსები და ა.შ. სილაბუსში კი აღნიშნული საკითხები არ არის გათვალისწინებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსს „შესავალი გარმოს დაცვის მენეჯმენტში“ შესაძლებელია დარქმეოდა, მაგ., „შესავალი გარემოს დაცვის მართვაში“, მაგრამ რადგან მართვა და მენეჯმენტი ამ კუთხით გარკვეულწილად ფიქრობდნენ, რომ მენეჯმენტის კუთხით უნდა ყოფილიყო, საქმე იმაშია, რომ დაწესებულების წარმომადგენლების გადმოსახედიდან „შესავალი გარემოს დაცვის მენეჯმენტში“ იმიტომ ჰქვია, რომ მოითხოვს ისეთ ცოდნას, რომელიც დამყარებულია გარემოს დაცვის საკითხებზე, გარემოს დამაბინძურებლებზე, წყლის მენეჯმენტი, ჰაერის ხარისხის მენეჯმენტი რომ განახორციელონ, რასაც ნამდვილად მენეჯმენტი ჰქვია, უნდა იცოდეს რა ძირითადი დამაბინძურებლებია, როგორი კრიტერიუმები შეიძლება ჩამოყალიბდეს, რა ძირითადი სტანდარტებია ამ კუთხით სახელმწიფო/საერთაშორისო დონეზე, მაგ., წყლის, სასმელი წყლის, ზედაპირული წლის, ჰაერის სტანდარტის, გარე ჰაერის, შიდა ჰაერის ამ კუთხით წავიდნენ და ამ კურსს ჰქვია ეს დასახელება, თუმცა საკითხები, რომლებზეც საბჭოს წევრმა ისაუბრა აღნიშნულ სასწავლო კურსში გამოკვეთილია, რადგან საუბარია გარემოს კომპონენტების დამაბინძურებლებზე, რომელთა სტანდარტების ცოდნა არის „შესავალი გარმოს დაცვის მენეჯმენტში“. მან განაცხადა, რომ მაგ., კაუნასის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში არსებობს სამაგისტრო პროგრამა „გარემოს დაცვის მენეჯმენტი“ ეს არის ის მენეჯმენტი, რაზეც საბჭოს წევრი საუბრობდა და შესაძლებელია პროფესონალური კუთხით უყურებდნენ ეკონომიკის, ბიზნესისა და მენეჯმენტის კუთხით, ეს არის სწორედ გარემოს დაცვის ინჟინერია და მენეჯმენტი, სულ სხვა სფეროა ამ კუთხით დანახული ინჟინერიის გადასახედიდან.

საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ საქართველოშიც არის ანალოგი GIPA-ს აქვს „გარემოს დაცვის მენეჯმენტი და პოლიტიკა“.

პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ზემოაღნიშნულ პროგრამას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:19

დასრულების დრო: 18:44

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდ, საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 2.3 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; თუმცა კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მე-2 სტანდარეტის შეფასების გვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოს დაცვის ინჟინერიის და გამოყენებითი ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული შეფასება და დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსს „წარმოების მენეჯმენტი“ განესაზღვროს წინაპირობა;
2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „ჰიდრო და აეროდინამიკა“ თემები შესაბამისობაში მოვიდეს ECTS კრედიტებთან;
3. რეკომენდირებულია სამრეწველო ეკოლოგიის საფუძვლებში გაძლიერდეს პრაქტიკული მხარე;
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის - „შესავალი გარემოს დაცვის მენეჯმენტში" დასახელება დაიხვეწოს და შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსის ფარგლებში განხილულ თემატიკასთან;

ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები უცვლელად დატოვა:

1. ევროკავშირთან ასოცირების ვალდებულებებისა და ქვეყნის განვითარების კვალდაკვალ ვითარდება ნარჩენების გადამუშავების საწარმოები, რომელთანაც კავშირის დამყარება გააუმჯობესებს პროგრამის შესაძლებლობებს;
2. გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარატმენტს აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რაც იძლევა რეალურ შესაძლებლობას რომ გარემოსადცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით აწსუ-მ ბაზარს შესთავაზოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გარემოს დაცვის ინჟინერიის და გამოყენებითი ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №86, 24.07.2015
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკოლოგიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	გარემოსმცოდნეობა - 0521
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის №32/35, სასწავლო კორპუსი №2, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - გაიოზ ფარცხალაძემ და ანზორ ბერიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვაჟა ტრაპაიძემ საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის წევრები: ვაჟა ტრაპაიძე (თავმჯდომარე), გიორგი ბრეგვაძე, სოფიკო შარაბიძე. ვიზიტი შედგა მიმდინარე წლის 10 მარტს, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ყველა სტანდარტი შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და გაცემულია ერთი რეკომენდაცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

1. კურუკულუმის მიხედვით მეორე სემესტრში კრედიტების რაოდენობა შეადგენს 29 კრედიტს, ხოლო მესამე სემესტრში 31 კრედიტს, შესაბამისად მეორე და მესამე სემესტრში განისაზღვროს კრედიტების თანაბარი რაოდენობა 30 კრედიტი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმნჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ რეკომენდაციას დაეთანხმა დაწესებულება, სხვა მხრივ ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის შესახებ აქვს კარგი/დადებითი წარმოდგენა, რადგან აქვს კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და თითქმის ყველა კურსდამთავრებული მუშაობს საკუთარი პროფესიით, პროგრამა მნიშვნელოვანია რეგიონისთვის.

18:53 საათზე საბჭოს შემოუერთდა ანა ფირცხალაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელი, ნინო ლომთათიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან განაცხადა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია გაასწორეს კურიკულუმში და თანაბარ 30-30 კრედიტი აქვთ მეორე და მესამე სემესტრში, როგორც მითითებული იყო რეკომენდაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებული ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში არ იღებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შემდეგ უხერხულად გრძნობს თავს, რადგან კითხვა უნდა დასვას, მაგრამ მაინც უნდა იკითხოს. მან განაცხადა, რომ ნახა 12 გამოკითხული დამსაქმებელი და დაინტერესდა არის თუ არა ეს ციფრი რელევანტური, აძლევს თუ არა დაწესებულებას წარმოდგენას შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. საბჭოს წევრს გაუხარდა, როდესაც პროგრამის მიზნებში წაიკითხა, „თანამედროვე სრულფასოვანი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც შეძლებს საკვლევი სინჯების აღებას, საანალიზოდ მომზადებას, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ანალიზის ჩატარებას და მიღებული შედეგების განზოგადებას“, მისი მოკრძალებული ცოდნით ამ ყველაფერს სჭირდება ძვირადღირებული მოწყობილობები, რეაქტივები და ზოგადად პროცესი, პროგრამის ბიუჯეტში კი ეს თანხა არ ჩანს, მიუხედავად ამისა საბჭოს წევრს სჯერა, რომ აქვთ, რადგან თუ ზემოაღნიშნული ბიუჯეტი არ არის, სტუდენტი ამ ყველაფერს ვერ გააკეთებს, თუ უნდა გააკეთოს დაინტერესდა სად არის ეს თანხები გაწერილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელენე ჟურავლოვას.

საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვა მისაღებ პროცედურებთან დაკავშირებით დაინტერესდა, წარდგენილია 4 უცხო ენა, რომლებშიც მითითებულია, რომ შეიძლება ჩააბაროს სტუდენტმა

ექსპერტის მოსაზრებით აპლიკანტები, საბჭოს წევრი დაინტერესდა, ვინც ჩააბარებს ფრანგულ ან ინგლისურ ენას სწავლის პროცესში იქნებიან თუ არა თანაბარ პირობებში.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, ეს ჩანაწერი რეკომენდაციის ხასიათს არ ატარებს, ვინაიდან 29 და 31 კრედიტის ჯამი 60 კრედიტია და ინსტიტუციას შეეძლო ასეთი სახით წარმოედგინა სასწავლო გეგმა.
წინაპირობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მეორე ან მესამე „ქეისია“ ბათუმის უნივერსიტეტთან დაკავშირებით სამაგისტრო პროგრამებში, სადაც აბსოლუტურად არაფერ შუაშია პროგრამა და მისი განმახორციელებელი პერსონალი, რადგან საუნივერსიტეტო მიდგომაა და საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ წინა პროგრამაზე რეკომენდაციაში გაწერეს, დაწესებულებას უნდა მიეღო უცხო ენის B2 დონით, ამიტომ ერთიანი მიდგომის შენარჩუნების მიზნით უნდა შეიცვალოს ერთიანი საუნივერსიტეტო მიდგომა.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, თეონა მატარაძეს.
საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ გამოთხოვილი იყო სამაგისტრო ნაშრომების სია და შემდეგ გამოთხოვილი 3 ნაშრომი, ერთ-ერთი ნაშრომი არ არის აღნიშნულ სიაში, შესაძლებელია ტექნიკური საკითხია, მაგრამ დაინტერესდა თუ როგორ მოხვდა სიაში არმყოფი ნაშრომის გამოთხოვნა. ასევე დაინტერესდა თუ როგორ აფასებს ექსპერტთა ჯგუფი სამაგისტრო ნაშრომებს, რადგან ერთ-ერთ სამაგისტრო ნაშრომში მისი მოსაზრებით, მოძველებული ლიტერატურა იყო გამოყენებული.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მან განაცხადა, რომ დაწესებულება ასწავლის ძირითად ბიოლოგიურ საგნებსაც, რომელიც საკმაოდ ძვირადღირებულ ლაბორატორიებსა და მასალებს საჭიროებს, დაწესებულებას ასევე აქვს თანამშრომლობა სსიპ ლაბორატორიულ ცენტრთან, რომელიც არის ბათუმში ბაზირებული, საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად მჭიდროა ზემოაღნიშნული თანამშრომლობა და აღნიშნული ლაბორატორია მხოლოდ სივრცეს უთმობს დაწესებულებას, თუ დანარჩენი მასალებითაც ლაბორატორია უზრუნველყოფს.
მისი თქმით, გადახედა სამაგისტრო ნაშრომებს და დაინტერესდა თუ რა პროცენტს უთმობენ სიახლის კვლევის კუთხით სამეცნიერო ნაშრომებს, რადგან გარკვეული ტიპის დასკვნები, მაგ., რომ ზაფხულში ბათუმში ქაღალდის ნარჩენების რაოდენობა იზრდება, არ უნდა იყოს დიდი სამეცნიერო კვლევის შედეგი და ისედაც ცნობილია, თუმცა დასკვნაში არის ასეთი საკითხი; ის, რომ ბათუმში არის 10 მორფოლოგიური ჯგუფის ნარჩენები, მეტი ჯგუფის ნარჩენი პრაქტიკულად არც არის, საბჭოს წევრი დაინტერესდა რამდენად არის ეს დასკვნის ნაწილი, ის რაც აპრიორი ცნობილია, დანარჩენი, ის რომ რომელიღაც პროდუქტი უფრო მეტია ეს არის კვლევის შედეგი, როგორია დაწესებულების მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მან განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში არის შემდეგი ჩანაწერი, სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი შეფასებით, სადაც მაქსიმალური შეფასება 60 ქულაა და საჯარო დაცვის დროს 40 ქულა. შემდეგ ჩაშლილია ხელმძღვანელისა და რეცეზენტის მიერ შეფასება. დაინტერესდა, ხომ არ ეწინააღმდეგება აღნიშნული მიდგომა ერჯერადი შეფასების პრინციპს და რა იგულისხმება მიმდინარე შეფასებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, დიანა მჭედლიშვილს.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. იგი რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაინტერესდა თუ რას გულისხმობდა 31 და 29 კრედიტების რაოდენობა, რატომ დაისვა აღნიშნული რეკომენდაცია და რატომ აქვს რეკომენდაციის სახე, გულისხმობს თუ არა იმას, რომ შესაბამისად სასწავლო

კურსებში კრედიტების მინიჭების გადანაწილებასთან დაკავშირებით არის მოთხოვნა, რომელიც რეალურად, წელიწადში 60 კრედიტის რაოდენობას უშვებს, თუმცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უშვებს, არათანაბარ გადანაწილებას, შესაბამისად დასაშვებია და საბჭოს წევრი დაინტერესდა იყო თუ არა ექსპერტთა ჯგუფის შენიშვნა კონკრეტულად სასწავლო კურსების შინაარსთან/მოცულობასთან დაკავშირებით ბმაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ანა ფირცხალაშვილს.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. სავალდებულო სასწავლო კურსთან „ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები“ დაკავშირებით მან განაცხადა, რომ ეს ძალიან კარგი და აუცილებელი საგანია პროგრამაში, სილაბუსში მხოლოდ ნორმატიული ლიტერატურა, ნორმები/კანონებია მითითებული, რაც აუცილებელია, თუმცა მხოლოდ ნორმატიული ლიტერატურით ძალიან გაუჭირდება არაიურისტ სტუდენტს შეისწავლოს აღნიშნული საგანი. საბჭოს წევრისთვის ცნობილია, რომ შესაბამის დარგში არსებობს თსუ-ში გამოცემული ლიტერატურა და ურჩია დაწესებულებას დაამატონ ლიტერატურა, რომელიც მნივნელოვანია სტუდენტმა შეისწავლოს შესაბამისი საგანი - განმარტებით, უბრალოდ გარემოს დაცვის პრინციპებზე საუბარი ისე, რომ არაიურისტისთვისაც იქნება გასაგები. ასევე საგნის წამყვან პროფესორს არ აქვს იურისტის განათლება, შესაძლებელია ვინმესთან ერთად კითხულობდეს არაიურისტი სამართლის საგანს, რადგან ლიტერატურაში ჩამოთვლილი კანონები ცოტა რთულად წარმოსადგენია, როგორ არის შესაძლებელი, ხომ არ იქნება უკეთესი, რომ იურისტიც იყოს საგნის სწავლებაში ჩართული.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გაიანე სიმონიას.

საბჭოს წევრი, გაიანე სიმონია მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფს. მან განაცხადა, რომ „ეკოლოგიისა“ და „გენეტიკის“ სილაბუსებზე გადახედვის შემდეგ ნაკლოვანების შეგრძნება აქვს, რადგან თანამედროვე ეპიგენეტიკა არსად არაა ნახსენები, ლიტერატურაც შედარებით ძველია 2005 წლის, ეპიგენეტიკაა ძირითადად ის, რაზეც მიდის საუბარი, გარემო ფაქტორები და ადამიანის ორგანიზმი გენეტიკის დონეზე, გენებზე და ა.შ. ლიტერატურიდან გამომდინარე მას მოეჩვენა, რომ შეიძლებოდა მისი გაუმჯობესება და ეპიგენეტიკის საკითხების გაშუქება, რაც ბევრად უფრო თანამედროვე მიდგომა იქნებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვაჟა ტრაპაიძემ კრედიტების რაოდენობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საკითხი, რომელზეც საუბარი იყო, რაც შეეხება ერთი კრედიტის მატებას ის სტანდარტი, რაც დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში გაჟღერდა ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ ერთი კრედიტი გადავიდოდა მეორე სემესტრში და დაემატებოდა 29 კრედიტის იმ საგანს, რომელიც იწვევდა ნაკლოვანებას და სწორედ ამ საგნების შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე ჩათვალეს საჭიროდ, რომ თანაბარი რაოდენობის კრედიტები უნდა ყოფილიყო, ეს იყო ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება/პოზიცია და საბჭოს გადასაწყვეტია დარჩება თუ არა.

საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერსდა აქვთ თუ არა რეკომენდაცია გაცემული კონკრეტულ საგნებთან მიმართებით, რომელს მოემატოს და რომელს დააკლდეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ კონკრეტულ საგნებთან მიმართებით აქვთ გაწერილი, აღნიშნული რეკომენდაცია გაჟღერდა ექსპერტთა ჯგუფთან ზეპირი საუბრის დროს და მათთვის ცნობილია, რომ 6 კრედიტიანი საგან 5 კრედიტზე უნდა ჩამოსულიყო და 29 კრედიტიან სემესტრში უნდა დამატებოდა რომელიმე საგანს.

საბჭოს წევრმა განმარტა მისი კითხვის მიზანი, რომ ეს ყველაფერი ხელოვნურად უნდა გაკეთებულიყო თანაბრად განდანაწილებისათვის თუ გაწერილი იყო კონკრეტულად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ ყოფილა საუბარი ხელოვნურობაზე, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა რომ ის საგანი არ საჭიროებდა.

12 დამსაქმებლისა და ძვირადღირებული აპარატურის შესახებ, მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ 12 დამსაქმებელია, ესენი არიან ის დარგობრივი დამსაქმებლები, რაც რეგიონშია წარმოდგენილი, აღნიშნულ ორგანიზაციებთან უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც ითვალისწინებს იმ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებას, რაც აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომისათვის.

სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს დიდი რაოდენობით სამაგისტრო ნაშრომები მიაწოდა და მათი ზოგადი შეფასება დადებითია, კონკრეტული ნაშრომი, რომელიც არ იყო სიაში და ისე იყო გაგზავნილი არ ახსოვს, თუმცა ძირითადი ნაწილის გაგზავნა მოხდა სიიდან და წარმოდგენილი იყო 7-8 ნაშრომი.

შრომის ბაზართან დაკავშირებით მან განმარტა, რომ რაოდენობრივად შედარებით მცირეა, მაგრამ ეს არის ის ორგანიზაციები სადაც ხდება სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმება და რელევანტურია რეგიონში ეკოლოგიური პრობლემატიკისა.

ლაბორატორიებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ბათუმის ბოტანიკური ბაღი და სხვა, რაც ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხდება გამოყენება ეკოლოგების სასწავლო პროცესში, მომზადებაში, რადგან არ არიან მრავალრიცხოვანი ჯგუფი, ორგანიზაციის წარმომადგენლები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში, რაც განაპირობებს ძალიან მჭიდრო ურთიერთკავშირს პროგრამასთან და ამ სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორ შეაფასებდა ექსპერტთა ჯგუფი სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხარისხს დადებითად აფასებენ, იქ არის სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც არ არის მაღალი დონის, მაგრამ ზოგადი მოსაზრება დადებითია, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო 7-8 სამაგისტრო ნაშრომს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა რეაქტივების შეძენასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრი, რომელიც რეაქტივებს უნივერსიტეტის მეშვეობითაც ყიდულობს და ასევე, გრანტებითაც, აქ ჩართულია მათი ლაბორატორიული კვლევები დასავლეთ საქართველოს ქრომატოგრაფიული ცენტრის ბაზაზე, გარდა ამისა უნივერსიტეტს აქვს აგრარული და მემორანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი, სადაც აქვთ სპექტრომეტრი, რომლის საშუალებითაც ახდენენ მძიმე მეტალების განსაზღვრას და ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი, ეს ის კვლევითი ბაზაა, რომელიც უშუალოდ მათ უნივერსიტეტში ხორციელდება, გარდა ამისა აქვთ მემორანდუმები ISO-ს სერტიფიცირებულ ლაბორატორიებში, ეს არის აჭარის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კვლევითი ცენტრი, სადაც მემორანდუმში გაწერილია ყველა კვლევით სამუშაოებს, რეაქტივებსა და ლაბორატორიულ საწარმოო პრაქტიკას ატარებენ მათ ბაზაზე და მათი თანამშრომელი ჩართულია განსახილველ პროგრამაში, ასევე „ბათუმის წყლის“ ლაბორატორიაც არის მათი ბაზა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ზღვის და გარემოს ლაბორატორია, რომელთანაც მჭიდროდ თანამშრომლობენ, დასაქმებულნი არიან მათი მაგისტრანტები, მისთვის გასაგებია, რომ ძვირადღირებულია რეაქტივები და ნაწილობრივ უნივერსიტეტის ბაზაზე და ნაწილობრივ მემორანდუმების ფარგლებში ხორციელდება კვლევების ჩატარება.

B2 დონესთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ დაწესებულება არ უზღუდავს უცხო ენას, რაც უნივერსიტეტიდან გამომდინარეა და არ ხორციელდება მხოლოდ ერთ პროგრამაზე, სტუდენტს შეუძლია ჩააბაროს ნებისმიერი უცხო ენა და B2 დონის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში იღებენ „ეკოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამაზე.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში შესაძლებელია გაპარული იყოს შეცდომა, ფასდება მხოლოდ დასკვნითი პრეზენტაციის მეშვეობით 100 ქულიანი სისტემით, ხელმძღვანელი წერს დასკვნას და რეცენზიას წერს რეცეზენტი, თუმცა არ წერს ქულას, შეფასება არ ხდება ქულობრივად,

ფასდება მხოლოდ: ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, დამაკმაყოფილებელი და არა დამაკმაყოფილებელი, შესრულებული ნაშრომი ერთი თვით ადრე წარედგინება დარგობრივ დეპარტამენტს, სადაც ხდება რეცენზენტის გამოყოფა და მხოლოდ ამის შემდეგ იტვირთება Moodle-ს პროგრამაში პლაგიატის შესამოწმებლად, თუ პლაგიატის დიდი პროცენტულობა დაფიქსირდა უბრუნდება სტუდენტს გასასწორებლად და შემდეგ ინიშნება საჯარო დაცვაზე მისი წარდგენის თარიღი.

კვლევით ნაშრომში სიახლესთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება ძირითადად მნიშვნელოვანია სადოქტორო ნაშრომებში და სიახლეები და აღმოჩენები სამაგისტრო დონეზე არ უნდა მოთხოვონ, რადგან კვლევა არის მის მიერ ჩატარებული და ინფორმაციაც მის მიერაა შეგროვებული, როგორც ველზე სამუშაოს განხორციელებისას, ასევე ლაბორატორიაში კვლევის ჩატარების დროს, დაწესებულება თვლის, რომ ეს არის სტუდენტის მიერ ჩატარებული სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევა და შესაძლებელია არ იყოს რაიმე მეცნიერული აღმოჩენა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ მას არ უკითხავს თუ საიდან აქვთ რეაქტივები, რადგან ეს აუცილებლად ექნებათ, მან იკითხა თუ სად ჩანს ბიუჯეტში, რადგან ბიუჯეტში უნდა ეწეროს და დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა მიუთითოს სად ჩანს ან უთხრან, რომ მათ ბიუჯეტში ეს არ ჩანს, მაგრამ აქვთ მემორანდუმი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ბიუჯეტში ნამდვილად არ ჩანს.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ამ მხრივ დაწესებულების მხარესაა, მას სურს აღნიშნული საკითხის ბიუჯეტში ასახვა.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაეთანხმა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მიდგომაში, რაც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, თუმცა ურჩია გადაეხედათ სილაბუსისთვის, რადგან სილაბუსის ჩანაწერი სხვაზე მეტყველებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით კითხვები მათაც გაუჩანდათ და ინსტიტუციამ გადაუგზავნა დებულება, რომლის მიხედვითაც ხდება სამაგისტრო ნაშრომის შეფასება, რა კითხვებიც დაისვა აბსოლუტურად ამომწურავადა არის წარგენილი და სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში განსხვავებულად არის წარგენილი, თუმცა დებულებაში სრულად არის ასახული.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ანა ფირცხალაშვილს.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, დიდი პლაგიატის შემთხვევაში სტუდენტს უბრუნდება ნაშრომი და დაინტერესდა თუ ცოტა პლაგიატი იქნება არ დაუბრუნდება, თუ რისი თქმა სურდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ თუ პლაგიატის პროცენტი უმნიშვნელოა მაქსიმუმ 10%-მდე, Tunrnitin-ის პროგრამა უთითებს პლაგიატს უნივერსიტეტის, ფაკულტეტის დასახელებაში და ა.შ.

საბჭოს წევრმა დააზუსტა საუბრობდა თუ არა პროგრამის ხელმძღვანელი დამთხვევაზე და არა პლაგიატზე, რადგან პლაგიატი 1%-ც კი არ არის დასაშვები.

პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრის მოსაზრებას.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა ქოიავამ დაადასტურა, რომ საუბარი იყო დამთხვევის მაჩვენებელზე, რომელიც თუ არის 30% ამ შემთხვევაში უბრუნდება მაგისტრანტს ნაშრომი და ხდება მისი ხელახლა ატვირთვა გასწორებული სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა შესაძლებელია 30% პლაგიატი დასაშვები ფორმით ჰქონდეს მაგისტრანტს მითითებული და მიბრუნების შემთხვევაში ისჯება თუ არა, ხდება თუ არა ხელახალი განხილვა, შესაძლებელია სტუდენტმა მიუთითა წყაროები და პროგრამამ დაადგინა თანხვედრა, რაც არ არის პლაგიატი და რა ხდება ამ შემთხვევაში.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა ქოიავამ განაცხადა, რომ ასეთ შემთხვევაში თვითონ მაგისტრანტის ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას, შემდეგ ხდება ხარისხთან საკითხის განხილვა და სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ატვირთულია პლაგიატის სისტემაში, განიხილება თითოეული ნაწილი, როგორ არის ციტირებული, იქნებ არასწორად არის ციტირება გამოყენებული და ამიტომ აჩვენებს მსგავსების მაჩვენებელს მაღალს, საბოლოოდ ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას მაგისტრანტი გაუშვას შემდეგ ეტაპზე თუ არა, რაც დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ხარისხთან შეთანხმებით ხდება.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ როდესაც მაგისტრანტი ნაშრომს წერდა ხელმძღვანელთან ერთად მას მონაცემები ჰქონდა შეტანილი, ამის შემდეგ თუ მხოლოდ ხელმძღვანელის გადასაწყვეტია გაიყვანოს სტუდენტი დაცვაზე თუ არა, რაში მდგომარეობს ხარისხის სამსახურის ჩართულობა. სტუდენტმა დაწერა ნაშრომი, ხელმძღვანელმა იცის მისი კონტენტი, პროგრამამ დააფიქსირა დამთხვევა, ხელმძღვანელმა იცის რომ არ არის პლაგიატი, მაგრამ წყაროები აქვს დაცული და 30%-ში მოყვანილ მასალას არ ისაკუთრებს, რისი იურიდიული ფილებაც აქვს, ამ ფორმით გამოყენების, ამის შემდეგ თუ სტუდენტს ხელმძღვანელი დაუბრუნებს ნაშრომს რა შეიცვლება, მან იცის, რომ სწორად უწერია, ვიღაცამ უნდა მიიღოს დამატებითი გადაწყვეტილება.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ პროგრამას აქვს გამორიცხვის მეთოდი, ანუ როდესაც ხდება ნაშრომის ატვირთვა პლაგიატის სისტემაში, ხელმძღვანელს აქვს შესაძლებლობა, როდესაც გადახედავს პროგრამას და დაინახავს, რომ მსგავსების მაჩვენებელი ნაჩვენებია ისეთ წინადადებაზე, რომელიც მისთვის მიუღებელია, მას შეუძლია გვერდით, გამორიცხვის მეთოდით, ან პროცენტული მაჩვენებლით, ან სიტყვათა წყობით, გარკვეულ სიტყვათა რაოდენობა აირჩიოს და გამორიცხოს. გამორიცხვის მეთოდის შემდეგ ის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც არ იყო მისაღები ხელმძღვანელისთვის და ზოგადად არ ითვლებოდა მსგავსების მაჩვენებლად, პროგრამა თავისთავად ანულებს აღნიშნულს. რაც შეეხება ხარისხის სამსახურის ჩართულობას, აღნიშნული მონიტორინგის პროცესში ხარისხის სამსახურის ჩართულია, როდესაც მაგისტრანტები ატვითავენ თავიანთ ნაშრომებს, ხდება თითოეული სამაგისტრო ნაშრომის მონიტორინგი, პლაგიატის რა პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა, რა რეკომენდაციები იქნა ხელმძღვანელის მიერ დაწერილი და რა იქნა გათვალისწინებული საბოლოოდ. ზოგადად ხარისხის სამსახური ჩართულია ყველა აკადემიურ და სასწავლო პროცესში.
საბჭოს წევრმა განმარტა, რომ მას არ უთქვამს სამაგისტრო ნაშრომში რაღაც სიახლე და აღმოჩენის ვალდებულება ჰქონდა მაგისტრს, იგი დაინტერესდა თუ რამდენად არის ჩართული კვლევითი უნარების გამომუშავებაში და თვითონ ნაშრომი უნდა იყოს რაღაც სიახლის მატარებელი. შეიძლება ერთი ძალიან კარგად ნაცნობი სიტუაცია შეისწავლოს თავის რეგიონზე და იქიდან გააკეთოს დასკვნა, უბრალოდ დასკვნის ფორმა, რომ ზაფხულის პერიოდში იზრდება ქაღალდის ნარჩენების ზრდა ბათუმში ამას კვლევა არ სჭირდება, აპრიორი ისედაც ცნობილია.
პროგრამის ხელმძღვანელი დაეთანხმა საბჭოს წევრის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, მან განაცხადა, რომ როდესაც სტუდენტი ატარებს კვლევას ეს მისთვის მეცნიერული სიახლეა, ბათუმის ნაგავსაყრელი რეკრეაციულ ზონაშია განთავსებული, სწორედ იქ ატარებდა სტუდენტი ზემოაღნიშნულ კვლევას და ახორციელებდა ნარჩენების დახარისხებას, ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე შესწავლილ იქნა მძიმე მეტალების რაოდენობა და აღმოჩნდა, რომ საკმაოდ მომატებული იყო ნაგავსაყრელის მიმდებარე ტერიტორიაზე, რაც სავალალო შედეგია და შესაძლებელია ჩაითვალოს სტუდენტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად მიღებულ სამეცნიერო სიახლედ.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გაიანე სიმონიას.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განმარტა, რომ მის კითხვაზე პასუხი ანტერესებდა, რადგან მას ძალიან უნდა საქართველოში თანამედროვე პოზიციებით იყოს ეკოლოგია, რადგან თვითონ მომიჯნავე სპეციალობის წარმომადგენელია, როდესაც არსებობს უახლესი სახელმძღვანელოები და ძალიან საგულისხმო, ეპიგინომიკა და ეპიგენეტიკა, დაწესებულებას კი ცალკე აქვს გენეტიკის კურსი და 2005 წლის სახელმძღვანელო და სთხოვა მიხედონ სილაბუსსა და სასწავლო კურსს, რადგან მარტო მათ არ ეხებათ და არც ექიმებს ეხებათ, რადგან ისინი დამოკიდებულნი არიან ეკოლოგიაზე, თუ არ მოხდება ამის სწავლება მისთვის წარმოუდგენელია თუ რა უნდა გააკეთონ მედიკოსებმა, რაც ეკოლოგიის პრობლემაა, რადგან ეპიგენეტიკა და ეკოლოგია იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან თავისუფლად მოძებნიან სახელმძღვანელოებს და ეს არ იყო მისი ქოლასტიკური კითხვა, გამომდინარეობდა მისი საჭიროებებიდან.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, ნინო ლომთათიძეს.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ საბჭოს წევრის მიერ დასახელებულ საგანთან დაკავშირებით, ხელმძღვანელი და სილაბუსის ავტორი არის აივენგო შათირიშვილის ყოფილი ასისტენტი და მასთან ერთად/შეთანხმებით მოამზადა აღნიშნული სილაბუსი, ეპიგენეტიკური საკითხები ნამდვილად აქვს გათვალისწინებული, გარემო ფაქტორების ზეგავლენა, მაგრამ აკეთებს სალექციო კურსს.
საბჭოს წევრმა დასძინა, რომ რაც მან ნახა 2005 წლის სახელმძღვანელოა შათირიშვილის, როდესაც ეპიგენეტიკა საერთოდ არ იყო.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ აუცილებლად გადასცემს საბჭოს წევრის შენიშვნას საგნის ხელმძღვანელს და სალექციო კურსში გაითვალისწინებენ მას.
სასწავლო კურსთან „ბუნებათსარგებლობის და გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები“ შესახებ მან განმარტა, რომ გაუხარდა ამ კითხვის დასმა, რადგან თვითონ არის აღნიშნული სილაბუსის ავტორი, სახელმძღვანელო არის „ეკოლოგიური სამართალი“ თენგო ურუშაძის ავტორობით, პროგრამის ხელმძღვანელი ასწავლის ბაკალავრებს აღნიშნული სახელმძღვანელოთი, ვინაიდან განსახილველ პროგრამაზე ძირითადად ეკოლოგიისა და ბიოლოგიის სტუდენტები მიდიან, მათ აქვთ საფუძველი ეკოლოგიის სამართალში, სხვა სპეციალობის სტუდენტები კი იშვიათად ხვდებიან, ტურიზმის, სოციალური მეცნიერების ფაკულტეტის სტუდენტები და თუ მათ შეექმნებათ პრობლემა, თუმცა ჯერ არ ჰქონიათ ასეთი შემთხვევა, ასევე შედგენილი აქვს სალექციო კურსი გარდა იმ კანონებისა, რომელიც ეხება გარემოსდაცვით სამართალსა და სამართალურთიერთობებს ბუნებასა და საზოგადოებას შორის, ამ კანონების შესაბამისად აწვდის შესაბამისი სალექციო კურსიდან ინფორმაციასაც.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ ეს ყველაფერი არ წერია და ამიტომ ისაუბრა, გარდა ამისა თუ მიიღებენ რჩევად არის უფრო ახალი წიგნი, რომლის ავტორიც კობა ყალიჩავაა და აღნიშნული წიგნიც შეიძლება გამოადგეთ.
პროგრამის ხელმძღვანელმა დასძინა, რომ ჩაინიშნავს და გაითვალისწინებს.
საბჭოს წევრის, ანა ფირცხალაშვილის თქმით, ნამდვილად არ არის ცუდი, რომ სასწავლო კურსს უძღვება პროგრამის ხელმძღვანელი, თუმცა კარგი იქნება თუ იურისტი პროფესორიც გაუძღვება მასთან ერთად, თუმცა ეჭვი არ ეპარება მის კომპეტენციაში, მიუხედავად ამისა, რადგან საუბარია სამართალზე და ისწავლება კანონები, შესაძლებელი კარგი იყოს ასევე ამ პროფესიის ადამიანის ჩართულობა, რომელიც ზოგადად კანონებს ქმნის/იყენებს.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მათ უნივერსიტეტში სამართლის სპეციალობაზეც ისწავლება იგივე საგანი, ეკოლოგიის სამართალი და დაინტერესდა, მოიკითხა თუ ვინ ასწავლიდა და აღმოჩნდა, რომ ასწავლიდა სამართლის სპეციალისტი, რომელიც ეკოლოგიურ პრობლემებში საერთოდ ვერ ერკვევა, იქ მეორე უკიდურესობა იყო, ასწავლიდა მხოლოდ კანონებს და არავითარი შეხება, რა პრობლემა იყო ეკოლოგიური თვალსაზრისით

სტუდენტებმა არ იცოდნენ, ამიტომ შესაძლებელია საბჭოს წევრი მართალია და გარკვეული თვალსაზრისით მოუწიოთ სამართლის სპეციალისტის ჩართვა, თუმცა ამ ეტაპზე კანონებს თავს ართმევენ.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, დიანა მჭედლიშვილს.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი დაინტერესდა დაწესებულების პოზიციით რეკომენდაციასთან დაკავშირებით, როგორ ეთანხმებიან კრედიტების გადანაწილებას და თუ ეთანხმებიან იმ საგნებთან მიმართებით სად ხდება მომატება და სად დაკლება.
პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ფაკულტეტთან, ხარისხის სამსახურის უფროსთან შეთანხმებით გაარკვიეს, რომ საგანი „კვლევითი პროექტი“, რომელიც ისწავლებოდა მეორე სემესტრში და ჰქონდა 4 კრედიტი, რეკომენდაციის საფუძველზე ჩათვალეს, რომ აღნიშნული საგნისთვის მიენიჭებინათ 5 კრედიტი და საგანი, რომელიც ისწავლებოდა მესამე სემესტრში - „საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები“ და ჰქონდა 6 კრედიტი, დაიყვანეს 5 კრედიტზე, ფაკულტეტის და დეპარტამენტის თანხმობითა და მათთან შეთანხმებით.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმოადგენელმა საბჭოს სხდომაზე დააყენა შუამდგომლობა, რომ პროგრამისათის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2021 წლის 30 მარტიდან, რაგდან დაფინანსებით არსებულ სტუდენტებს არ შექმნოდათ პრობლემა სახელმწიფო გრანტის მიღებისას. ასევე დაამატა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას არ დაურღვევია რეაკრედიტაციის შემთხვევაში დებულებით განსაზღვრული წარმოების ვადები.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:31
დასრულების დრო: 20:04
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
კერძოდ, საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან 2.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.2 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.3 კომპონენტი ნაცვლად ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რადგან 4.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 4.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1. რეკომენდირებულია პროგრამის მიღების წინაპირობაში უცხო ენის დონედ განისაზღვროს B2 დონე;

2. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები“ ძირითად ლიტერატურად განსაზღვრული იქნას უახლესი სახელმძღვანელოები;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „ეკოლოგია და გენეტიკა“ განახლდეს ლიტერატურა და შეტანილ იქნას ეპიგენეტიკის საკითხები;
4. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის - "ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის სამართლებრივი საფუძვლები"-ს განხორციელებაში ჩაერთოს სამართლის დარგის სპეციალისტიც;
5. მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსების დაფინანსების წყაროები.

რჩევებიჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:
1. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების სილაბუსები და გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები;
2. ინტერნაციონალიზაციის სეგმენტის გაძლიერება რაც გამოიხატება გაცვლით პროგრამებში როგორც აკადემიური ისე მოწვეული პერსონალის აქტიურ მონაწილეობაში და უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობის გაძლიერებაში.
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-5 და 7^2 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
20:04 საათზე საბჭო დატოვეს ნინოჭალაგანიძემ, დავითკაპანაძემ, თეონამატარაძე.
4. მეოთხე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №80, 24.07.2015
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI

9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, სამეგრელო-ზემო სვანეთი, ზუგდიდი, 2100, ჯანაშიას ქ. №14
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - ანა ფირცხალაშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ნინო ფარსადანიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მისი თქმით, წარდგენილი დოკუმენტებით დადგინდა, რომ დაწესებულებას ყველა სტანდარტთან მიმართებით შესრულებული აქვს რეკომენდაციები.

სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციების შესახებ განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, გარდა ერთისა, რომელიც შეეხება „დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ სასწავლო კურსს, რომელთან დაკავშირებითაც დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტაცია მოცემულია თვითშეფასების კითხვარში და შესაბამის დოკუმენტაციაში, შესაბამისად ისინი ადასტურებენ, რომ აღნიშნული კურსისთვის „კონსტიტუციური სამართალი“, როგორც წინაპირობა არ მიაჩნიათ მიზანშეწონილი.

სასწავლო კურსების სილაბუსებში საკითხების ჩაშლის შესახებ ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია შესრულდა, საკითხები ჩაიშალა და მიწოდებული სასწავლო მასალა შემცირდა „სამოხელეო სამართლის“, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის“, „საქართველოს კონსტიტუტციური სამართლისა“ და „საერთაშორისო საჯარო სამართლის სილაბუსებში“.

აკადემიურ წერასთან დაკავშირებით, ექსპერტის თქმით, დაწესებულებამ წარადგინა არგუმენტები, რომ პრაქტიკული კომპონენტები, რასაც ექსპერტთა ჯგუფი სთავაზობდა დასკვნითი ნაწილის ფორმატში გადატანილი აქვთ შუალედური გამოცდის ფორმატში და შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტი უზრუნველყოფს რეკომენდაციის შესრულებას.

უცხო ენის კომპონენტის გაძლიერებისა და საჯარო ადმინისტრირების მიზნებთან მისი დაახლოების შესახებ მან განაცხადა, რომ რეკომენდაცია სრულად იქნა შესრულებული დაწესებულების მხრიდან, შესაბამისად ბევრი წინგადადგმული ნაბიჯია და უნივერსიტეტმა განახორციელა ცვლილებები საბჭოს/ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გასათვალისწინებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა და განაცხადა, რომ ფაქტობრივად გაცემული 10 რეკომენდაციიდან 9 შესრულებულია, 2.2 კომპონენტისა. მან სთხოვა საბჭოს წევრებს დაესვათ კითხვები ექსპერტისათვის.

20:34 საათზე საბჭო დატოვეს ელიზბარ ელიზბარაშვილმა და ნინო ინასარიძემ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ ექსპერტმა წარადგინა დაწესებულების დამოკიდებულება არშესრულებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრისათვის კი საინტერესო იყო ექსპერტის მოსაზრება.

ექსპერტმა განმარტა, რომ მისი, როგორც იურისტის მოსაზრებით, „კონსტიტუციური სამართალი“ სასწავლო კურსის „დემოკრატიისა და მოქალაქეობა“ წინაპირობა უნდა იყოს, თუმცა გააკეთა ის დაშვებაც, რომ დაწესებულება ამ კურსს სთავაზობს, როგორც სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსს, რომელიც აერთიანებს სტუდენტებს სხვადასხვა ფაკულტეტებიდან, თუმცა აღნიშნული მოცემულობიდან და პროფესიული გადასახედიდან შესაძლოა დასაშვები იყოს, ეს რომ იყოს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტისთვის ცალსახად აუცილებელი იქნებოდა სასწავლო კურსის „კონსტიტუციური სამართალი“ წინაპირობად გაწერა, მაგრამ რადგან ეს არის ზოგადი კურსი სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, შესაძლებელია დასაშვებად მიიჩნიონ.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა შეახსენა ექსპერტს, რომ მისი თქმით, თავისუფალი კრედიტის ფარგლებში, რადგან საუნივერსიტეტოდ სთავაზობენ დასაშვებია, რომ არ იყოს წინაპირობა, თუმცა საბჭოს წევრის მოსაზრებით, უფრო იქიდან უნდა გამოვიდნენ სასწავლო კურსის შინაარსი რამდენად იქნება დაძლევადი ფართო სპექტრის სტუდენტებისათვის, როგორ არის თვითონ სასწავლო კურსი აწყობილი დაძლევადია თუ არა თემატიკა ყველასათვის, ვისაც წინაპირობა არ აქვს ნასწავლი თუ ზოგადად ასწავლიან და სიღრმეებში არ შედიან.

ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო კურსი თავისი სტრუქტურით საკითხებითა და მათზე მიმაგრებული სასწავლო მასალებით არის ზოგადი ფორმატის, რომელიც შესაძლებელია დაძლეულ იქნას სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტების მიერ, მაგრამ ეს რომ ისწავლებოდეს უშუალოდ იურიდიულ ფაკულტეტზე იურისტი სტუდენტებისთვის მას ექნებოდა სხვა კომენტარი, უფრო ღრმა, დაამატებდა საკითხებს, ლიტერატურას და გაზრდიდა სასწავლო საათებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა თუ რას გულისხმობდა ექსპერტი ამავე სილაბუსით აღნიშნულ საგანს, თუ იგივე სათაურსა და უფრო ღრმა სილაბუსს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ გულისხმობდა იგივე სათაურსა და უფრო ღრმა სილაბუსს თუ კი ეს იქნებოდა იურისტებისთვის.

საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი დაინტერესდა თუ რატომ გასცა ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული რეკომენდაცია თუ კი მათ ასეთი პოზიცია ჰქონდათ.

ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაციის გაცემის მთავარი მოტივაცია იყო, რომ სასწავლო კურსში თავმოყრილია არსებითი მნიშვნელობის იურიდიული საკითხები/საგნები და ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რადგან აღნიშნული სასწავლო კურსი ისწავლებოდა ამ პროგრამაზე, უმჯობესი იქნებოდა წინაპირობად განსაზღვრულიყო სასაწავლო კურსი „კონსტიტუციური სამართალი“, თუმცა რეკომენდაციის გაცემისა და დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის წაკითხვის შემდეგ ცალსახად თვალსაჩინო გახდა, რომ

აღნიშნული კურსი შესაძლებელია შეთავაზებულ იქნას წინაპირობის გარეშე, თუმცა ექსპერტისთვის ჯობია მისი „საჯარო ადმინისტრირების“ სტუდენტი ესწრებოდეს სხვა მიმართულების სტუდენტებთან ერთად ერთიდაიგივე საგანს, რადგან ამას ინტერდისციპლინური ცოდნა/დისკუსია მოაქვს, რასაც სწორედ აღნიშნული სასწავლო კურსი ემსახურება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელი, ნინო მაქაცარია მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა საბჭოსა და ექსპერტებს, რადგან რეკომენდაციების შესრულებამ გააუმჯობესა/გაამდიდრა პროგრამა, ბევრი საკითხი დაკონკრეტდა/დაზუსტდა.

სასწავლო კურსის „დემოკრატია და მოქალაქეობა“ შესახებ მან განმარტა, რომ ისწავლება, როგორც საუნივერსიტეტო სავალდებულო საგანი, ისწავლება ყველა სპეციალობაზე და ორიენტირებულია უნივერსიტეტში ღირებულებების ფორმირებაზე, განიხილება მოქალაქეობრივი პოზიციები/როლი, ინდივიდის როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში და ა.შ. მსგავსი საკითხები, რომლებიც ღირებულებების ფორმირებას უწყობს ხელს, გარდა ამისა დაწესებულების ძალიან სანდო პერსონალი ამ შემთხვევაში არის, ასევე კურსის ხელმძღვანელი, 5 წლის განმავლობაში, გააჩნია დიდიხნის გამოცდილება და მისთვის ორი აზრი არ არსებობს, რომ ამ სახით ეს კურსი სრულიად არ საჭიროებს წინაპირობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:44

დასრულების დრო: 20:47

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საჯარო მმართველობის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მენეჯმენტი და ადმინისტრირება - 0413
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, 0159 ირინა ენუქიძის ქუჩა N3 (დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი, ნინო დოლიძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ მეორე სტანდარტი იყო განსაზღვრული, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ და გაცემულ იქნა 7 რეკომენდაცია. დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიშის თანახმად, რეკომენდაციები გათვალისწინებულია, მხოლოდ 2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აქვს მცირე შენიშვნა, გარდა ამისა გაწერილი იყო რჩევები, რომელთა ნაწილი არ გაითვალისწინა უნივერსიტეტმა, თუმცა მათი გათვალისწინება სავალდებულო არ არის.

პირველი რეკომენდაციის („პროგრამის კურიკულუმის ეკონომიკური კომპონენტის გაძლიერების მიზნით დაემატოს ეკონომიკის საფუძვლების შინაარსის საგანი, სავალდებულო არჩევითი სტატუსით, რომელიც სავალდებულო იქნება იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც სწავლების სხვა საფეხურზე მსგავსი შინაარსის საგანი გავლილი არ აქვთ“) შესახებ მან განაცხადა, რომ გათვალისწინებულია, შემუშავდა სამკრედიტიანი კურსი „საჯარო პოლიტიკისა და ეკნომიკის საფუძვლები“, არჩევითი კურსის სტატუსით, სილაბუსის მიხედვით სწავლის შედეგები არის განსაზღვრული (ცოდნა, გაცნობიერება და უნარები), მაგრამ სასწავლო გეგმაში არ არის ასახული, რაც მისი მოსაზრებით ტექნიკური ხარვეზია, შემდეგ, როდესაც რეაკრედიტაცია მოუწევს ამან არ შექმნას პრობლემა და სასურველი იქნება დაწესებულებამ მოინიშნოს აღნიშნული ხარვეზი.

მეოთხე რეკომენდაციის („პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება პროგრამის სხვა კურსების ფარგლებში, გარდა პროფესიული პრაქტიკისა და კონკრეტული საგნების შუალედური შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად პრაქტიკული ხასიათის დავალებების განსაზღვრა, მაგალითად „რეგულირების გავლენის შეფასების“ კურსში“) შესახებ განაცხადა, რომ რეკომენდაციაში მოყვანილ სასწავლო კურსში „რეგულირების გავლენის შეფასება“ მოხდა ცვლილება და განხორციელდა რეკომენდაცია, სხვა საგნებში კი არ განუხილავთ და არც ყოფილა ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნა.
მეექვსე რეკომენდაციასთან („სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, საგნის „კვლევის მეთოდები“ ძირითად ბლოკში გადმოტანა და აკადემიური წერის თემატიკის დამატება“) დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ მისი გადმოსახედიდან რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ, სასწავლო კურსს „კვლევის მეთოდები“ აქვს თავისუფალი-სავალდებულო კომპონენტის სტატუსი, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტი ვალდებულია აღნიშნული სასწავლო კურსი აირჩიოს პირველ სემესტრში, სასწავლო კურსს დაემატა აკადემიური წერის თემატიკა, როგორიცაა აკადემიური ნაშრომები, ციტირების სტანდარტები, სტილი, აკადემიური კეთილსიდისიერება, კვლევის საჯარო წარდგენა, პრეზენტირება და ა.შ. თუმცა, როდესაც წინა სილაბუსს შეადარა დარჩა შთაბეჭდილება, რომ ახალი სილაბუსი შესუსტდა კვლევის მეთოდების თემატიკის მიმართულებით და ისეთი კრიტიკული საკითხები, როგორიცაა შერჩევა როგორ უნდა ჩატარდეს, გაზომვა, კითხვარის პირველადი მონაცემების შეგროვება, რაც პირველად სილაბუსში იყო ახალ სილაბუსში აღარ არის წარდგენილი, თუმცა მას არ სურს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის გამო დაზარალდეს კურსი, რადგან წინა სილაბუსი უკეთესი იყო, განხილული იყო ისეთი საკითხები, რასაც სტუდენტი დმაოუკიდებლად ვერ ისწავლიდა, მაგ., ციტირების წესი და როგორ იწერება აკადემიური ნაშრომი შესაძლებელია ლექტორმა აუხსნას აღნიშნული საგნის ფარგლებში მაგრამ მოხდა ისე, რომ კურსს მოაკლდა მნშვნელოვანი ნაწილი, ამიტომ თავს დამნაშავედ გრძნობს აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის გამო, გადაჭრის გზას კი მნიშვნელოვანი საკითხების ძველი სილაბუსიდან შეჯერება/დაბრუნებაში ხედავს, რადგან სასწავლო კურსისთვის „კვლევის მეთოდები“ ძალიან მნიშვნელოვანია შერჩევა, კითხვარის შედგენა და ა.შ.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ეკატერინე ნაცვლიშვილს.
საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის მოსაზრებით, სწორად ვერ გაიგო, რეკომენდაციის თანახმად დაწესებულებამ შექმნა ეკონომიკური შინაარსის სასწავლო კურსი და არჩევითად შესთავაზა სტუდენტებს, სხდომაზე კი ექსპერტმა მისცა რჩევა დაწესებულებას, რომ უმჯობესი იქნება თუ დაწესებულება სასწავლო კურსის შედეგებს ასახავს სასწავლო გეგმაში და სთხოვა დაეზუსტებინა თუ რას გულისხმობდა.
ექსპერტმა განმარტა, რომ ეს არ იყო რჩევა, მან როგორც ნახა სილაბუსი და სასწავლო გეგმა, ამ უკანასკნელში გამორჩენილია სწავლის შედეგები, სილაბუსში გაწერილია კარგად, მაგრამ სასწავლო გეგმაში არა.
საბჭოს წევრმა დააზუსტა უნდა იყოს თუ არა ასახული არჩევითი კრედიტი სასწავლო გეგმაში.
ექსპერტმა განმარტა, რომ როგორც მან ნახა ძირითადი სფეროს არჩევითი საგნების სწავლის შედეგები ასახულია სასწავლო გეგმაში, ამიტომ იფიქრა, რომ შესაძლებელია ყოფილიყო ტექნიკური ხარვეზი, თუმცა აღნიშნული საკითხი არსობრივად არ ცვლის რეკომენდაციას.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, გიორგი ღაღანიძეს.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით გულწრფელობისთვის, თუმცა, აღნიშნა, რომ გასაღები ისევ ექსპერტის ხელშია, რომ შეცვალოს თავდაპირველი რეკომენდაცია და საბჭოს უნდა შესთავაზოს ვარიანტი, რომ უნდა დარჩეს კვლევის მეთოდები იმ დანამატის გარეშე, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა მისცა რეკომენდაცია და დაამატეს, რაც გულისხმობდა, რომ თუ რაღაც დაემატებოდა, სხხვა მოაკლდებოდა.

ექსპერტმა განმარტა, რომ დააბრუნონ თავდაპირველი, მაშინ იგივე რეკომენდაცია იქნება ძალაში, რადგან აკადემიური წერა არ არის არსად, სტუდენტი გადის დიპლომზე, წერას იწყებს ისე, რომ არ აქვს დაფარული აკადემიური წერის ტექნიკები, ნაშრომი და ციტირება რა არის და ა.შ., ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა ან აღნიშნულ საგანს უნდა დამატებოდა, ან ცალკე კურსი უნდა დამატებულიყო, რადგან საჭიროა აკადემიური წერა.
საბჭოს წევრმა დასძინა, რომ გაითვალისწინეს და დაამატეს.
ექსპერტის განცხადებით, ზემოაღნიშნული არ ნიშნავს, რომ უნდა ამოიღონ კვლევის მეთოდები და არც რეკომენდაცია ყოფილა კვლევის მეთოდების ნაწილის შესუსტების შესახებ.
ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი მირიანაშვილმა ექსპერტს მიმართა, რომ სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ სილაბუსის, მაგ., მეცამეტე ლექციაში თემატიკა ეხება ციტირების სტანდარტს, სტილს და აკადმიურ კეთილსინდისიერებას კვლევაში, იქამდე კი საუბარია კვლევის სხვადასხვა მეთოდებზე, განხილულია კვირების მიხედვით.
ექსპერტმა დააზუსტა თუ რომელ სილაბუსზე იყო საუბარი ახალზე თუ ძველზე.
ფაკულტეტის დეკანმა განაცხადა, რომ სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ სილაბუსის, მეცამეტე ლექცია უკავშირდება ციტირების სტანდარტს, სტილს და აკადმიურ კეთილსინდისიერებას კვლევაში და ნასწავლი კვლევის მეთოდების შემდეგ ხდება სისტემური გააზრება ციტირებასთან მიმართებით და შესაძლებელია ექსპერტს გამორჩა, ან ტექნიკური ხარვეზია და ამიტომ შეექმნა ექსპერტს შთაბეჭდილება, რომ არ არის განხილული.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დეკანი საუბრობდა ახალ სილაბუსზე, მისი მოსაზრებით, ახალ სილაბუსში შევიდა აკადემიური წერის თემები, რაც იყო ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია, მაგრამ ამის გამო ამოვარდა კვლევისთვის მნიშვნელოვანი თემები, არსებობს გამოცდილება, რომ ერთ საგანში ისწავლება კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა და ასევე ორ საგნად, ექსპერტთა ჯგუფის აიზანი არ ყოფილა ერთის ხარჯზე მეორეს შემცირება.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, თეონა მატარაძეს.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ განაცხადა, რომ იზირებს ექსპერტის მიერ ბოლოს გამოთქმულ მოსაზრებას და მნიშვნელოვანია რას ითხოვენ, აკადემიური წერა სრულად არ არის გათვალისწინებული ცალკე სილაბუსად და საბჭო ითხოვს სტუდენტს ასწავლოს არგუმენტირებული ესსე, კრიტიკა, კომპილაციური ტექსტის შედგენა, მაშინ რთული იქნება მისი წარმოდგენა კომბინირებულად, კვლევის მეთოდებთან ერთად, მაგრამ თუ ითხოვენ, რომ გათვლაისწინებული იყოს ნაშრომის სტრუქტურა და ციტირების წესი, ის მხოლოდ ერთი კვირის საკითხის დამატებით შეიძლება ყოფილიყო შესრულებული და არ გამოიწვევდა გაზომვის, კითხვარის, შერჩევის საკითხების ამოვარდანს, მოხდებოდა მხოლოდ ერთის ჩანაცვლება, თუმცა საბაკალავრო საფეხურზე მასობრივ გამოკითხვას ჩაატარებს თუ არა ალბათ ისევ ექსპერტმა უნდა თქვას
ექსპერტმა შეახსენა, რომ საუბარი იყო სამაგისტრო საფეხურზე და სწორედ ამიტომ მიაქცია ყურადღება ექსპერტთა ჯგუფმა.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ დასძინა, რომ თუ კი საუბარია სამაგისტრო საფეხურზე მაშინ უფრო ნათელია, სამაგიტრო საფეხურზე მისულ სტუდენტს საბაკალავრო საფეხურზე აუცილებლად ექნება „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსი ნასწავლი, ამიტომ შესაძლებელია დაწესებულებას მხოლოდ ერთი კვირის დამატება სთხოვონ, რაც ხელს შეუწყობს გახსენებას და სხვა ყველაფერი დააბრუნებინონ, ვიდრე საერთოდ წაშალონ კვლევის მეთოდები.
ექსპერტიმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიზანიც ეს იყო, რომ ერთი ლექცია ყოფილიყო აკადემიური წერის ტექნიკებისთვის, დანარჩენი კი კვლევის მეთოდებს დათმობოდა, რადგან სტუდენტმა უნდა ჩაატაროს კვლევა სამაგისტრო ნაშრომში უნდა აჩვენოს თუ როგორ აგროვებს პირველად მონაცემებს, ადგენს კითხვარს, ამუშავებს მონაცემებს, ეს ყველაფერი ფასდება.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საბჭოს წევრს, ელიზბარ ელიზბარაშვილს.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა შეძლებს თუ არა მაგისტრანტი ციტირების წესების გამოუკიდებლად სწავლას.

ექსპერტმა განმარტა, რომ დამოუკიდებლად შეძლებს, მაგრამ ზოგადად ლექტორმა უნდა მისცეს მიმართულება და შესაძლებელია დამოუკიდებლად ისწავლოს.
საბჭოს წევრმა დასძინა, რომ მაგისტრანტების დროის ხარჯვა არ არის გამართლებული.
ექსპერტი დაეთანხმა საბჭოს წევრს და განაცხადა, რომ ახალი სილაბუსიდან ციტირების წესი შესაძლებელია ისევ შემცირდეს და სილაბუსი პირვანდელ სახეს დაუბრუნდეს გარკვეული მოდიფიკაციით, რომ აკადემიური წერის რაღაც თემები გათვალისწინებული იყოს, რადგან ერთი ან ორი ლექცია მაინც სტუდენტებს ლექტორი ამ საკითხზე გაესაუბროს.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული კომპონენტი შეიტანა სილაბუსში თუმცა ამის ხარჯზე შემცირდა კვლევითი კომპონენტი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ შეიტანა, თუმცა დიდი დოზით, შესაძლებელია უფრო ნაკლებად შეცვლილიყო სილაბუსი და დარჩენილიყო კვლევის მეთოდების მნიშვნელოვანი საკითხება, შესაძლებელია სილაბუსის ისე მოდიფიცირება, რომ ნაკლებად იყოს აკადემიური წერა წარდგენილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ფაკულტეტის დეკანმა, გიორგი მირიანაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს საინტერესო რეკომენდაციებისათვის, რომლებიც აბსოლუტურად გაითვალისწინა დაწესებულებამ. მან განაცხადა, რომ უნარების ნაწილში ტექნიკური შეცდომაა და გამორჩენილია, ან უბრალოდ საბოლოო ვერსია ვერ მოხვდა ექსპერტთან.
სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები“ სილაბუსთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ რეკომენდაციის თანახმად აკადემიური წერა უნდა ყოფილიყო ეპიცენტრში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროგრამის კომიტეტმა იმსჯელა და საჭიროდ ჩათვალა, რომ კვლევის მეთოდები წამოწეულიყო წინ, მათ შორის აკადემიური წერის თემატიკაც და შესაბამისად ფუნდამენტურად შეიცვალა სილაბუსი, ამასთანავე დაწესებულება არ არის წინააღმდეგი ძველი და ახალი სილაბუსის გაერთიანების და ორივე მიმართულების დაბალანსებისა, თუმცა მისი მოსაზრებით მაგისტრანტს ბაკალავრიატის დონეზე აკადემიური წერის დისციპლინა ექნება გავლილი და უფრო მეტად უნდა იმუშავოს კვლვევის მეთოდებზე, სწორედ ამიტომ სილაბუსში კლევის მრავალფეროვანი მეთოდები, ორგანიზების, სტრუქტურის, ნაშრომის შედგენის საკითხებია გათვალისწინებული, რომ მაგისტრანტი მომზადდეს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისათვის, ამიტომ კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით მეტი აქცენტირება უნდა მოხდეს და სწორედ ამიტომ გაითვალისწინა დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაცია და უფრო მეტად ასახეს კვლევის მეთოდებთან დაკავშირებული საკითხები სილაბუსში, ასევე კვლევის პრეზენტირების კუთხით არის გათვალისწინებული ერთი კვირა, რომელიც მნიშვნელოვანია, რადგან სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტირების რეპეტიციას გადის სტუდენტი და კომისიის წინაშე თავისი უნარების წარმოჩენა/განვითარებას ახდენს.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:10
დასრულების დრო: 21:28
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0
აკრედიტაციის საბჭომ დაამატა შემდეგი რჩევა:

1. აკადემიური თავისუფლების ფარგლებში სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები“ დაიფაროს რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ძირითადი კომპონენტები.

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 27 აპრილის 21:32 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ